პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 54 (14050) | სამშაბათი, 5 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე

4 მარტს სოფიაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირში მონაწილეობისათვის გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე კ. ვ. რუსაკოვი. დელეგაციის შემადგენლობაშია აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი.

კიევის ვოგზალში დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ა. პ. კირილენკომ, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, ა. ნ. შელეპინმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, დ. თ. უსტინოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, მ. ს. სოლომენცევმა და სხვებმა. (საკდესი).

ᲙᲣᲗᲜᲚᲔᲚᲘ — ᲕᲐᲓᲐᲒᲐᲡᲐᲒᲔᲠᲘ

ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘ — ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ენგურჰესი 1961 წელს გამოცხადდა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად. მაშინ მშენებლობის კომკავშირული ორგანიზაცია 126 კაცს ითვლიდა.

მერვე წელია დაიწყო მსოფლიოში უნიკალური ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ამ ხნის მანძილზე ერთიანთად გაიზარდა ორგანიზაცია. ახლა ენგურჰესელ კომკავშირელთა რიცხვი 1.300-ს აღწევს.

როცა ლაპარაკი მოწინავეებზე ჩამოვარდება, გვერდს ვერ აუვლი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრს, გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირს ზაურ ზარნაძეს. მისმა ბრიგადამ 21 თებერვალს გააანაღა მთელი თვის გეგმა და საქართველოს ალკკ XXVII ყრილობას ხელდამშვენებული მიხვდა. თებერვალი საამაყო მაჩვენებლებით გაატარეს იოსებ მეკოშვილის, ვაჟა ფანჩულიძის, ჯემალ გადელიას, ენვერ დარსანიას, ზაურ ლაბარტყავას, ედგარ გალუსტიანის, რომან ხონელიძის, ალექსანდრე ღლონტის გვირაბგამყვანთა კომკავშირული ბრიგადების წევრებმა.

კომკავშირის ყრილობაზე სასაბჭოო მაჩვენებლებით მივიდა სამოქალაქო მშენებლობის პირველი უბნის კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ XXVII ყრილობის დელეგატი ენრიკო ბოკუჩავა უძღვება. მისი ბრიგადის წევრებმა ჯერ კიდევ 19 თებერვლისათვის შესრულეს პირველი კვარტალის გეგმა.

გასული, საიუბილეო წელი ენგურჰესის ჭაბუკებმა და ქალაშვილებმა, — თქვა ჩვენთან საუბარში ენგურჰესის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. ნაჭყებიამ, — თვალსაჩინო წარმატებებით აღვნიშნეთ; ყველა კომკავშირულმა ბრიგადამ დიდი გადამეტებით შესრულა წლიური გეგმა. ზათ ანგარიშზე 6,5 მილიონი მანეთის შესრულებული სამუშაო ითვლება, რისთვისაც საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სამახსოვრო ჯიმბლით დაგვაჯილდოვა.

ენგურჰესელი კომკავშირელები პირველნი ჩაებნენ მიმდინარე წელს გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს მაღალი ვალდებულება — ლენინური კომკავშირული გეგმის შესრულებით უპატაჟოდ.

ლ. ბარქაია,
მრავალტირაჟიან გაზეთ „ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲰᲘᲠᲐᲚᲓᲔᲜᲘᲡ“ რედაქტორი.

ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ

ქაღაქი ფრთებს შლის

ცხინვალი. (ტელეფონით. „კომუნისტის“ საკ. კორ. ი. თედიაშვილი). შენდება, ლამაზდება სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრი ცხინვალი. ქალაქის ზრდასთან ერთად ფართოვდება კომუნალური და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა.

გუშინ სამუშაოები გაიშალა ქალაქის ახალი სასტუმროს მშენებლობაზე, რომელიც აღმართება ლენინის მოედნისა და გმირთა ქუჩის კუთხეში. სასტუმროს 8-სართულიანი შენობა 200 ნომერზეა გათვალისწინებული.

გუშინვე ქალაქის ცენტრში სამხრეთ ოსეთის საოლქო სამშენებლო სამმართველო შეუდგა ბავშვთა სამყაროს სამსართულიანი შენობის აგებას. იგი ერთ-ერთი ლამაზი და ნათელი სავაჭრო ობიექტი იქნება ქალაქში. საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე მუსიკალური სკოლის მშენებლობას.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ძველი, გამოცდილი მუშების გვერდით წარმატებით შრომობენ ახალგაზრდები. მათ შორის არის ლეილა ვიბლიანი, რომელმაც თავდადებული შრომით მოიპოვა მოწინავე მუშის სპეციალური სახელი. ყოველდღიურ დავალებათა პირნათლად შესრულება ხუთწლედის გეგმების ვადამდე განაღდების საწინდარია. ასეთია ლეილა ვიბლიანის შრომის დღევანდელი სურათი.

სურათზე: ლ. ვიბლიანი.

ფოტო ბ. ჩაჩანიძისა.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ!

აგბოგენ, კარგი, ათასჯერ მოზომილ-გამოკრეული სიტყვა ნამდვილ შეკერასა ჰგავს. იგი იმ ეშმარიტ გზას გიჩვენებს, რომლითაც უნდა იარო, აკეთო სასარგებლო კონკრეტული საქმე. დიახ, კარგი სიტყვა, ათასჯერ გაზრებული და ისე ნათქვამი, მშრომელი კაცისათვის ყველაზე საიმედო მეგზურია. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი ისტორია, საბჭოთა ხალხის პრაქტიკული საქმეები ხომ იმის უტყუარი დადასტურებაა, თუ რის გაკეთება შეუძლიათ ადამიანებს, როცა მათ ხელთ აქვთ მოქმედების, მოღვაწეობის ნათელი პროგრამა.

ამ დღეებში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, გაბმულქვეყნდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაობა 1968 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. ეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა კიდევ ერთი პატრიოტული სიტყვაა სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებათა, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე.

საქართველოს მშრომელები მუდამ ერთგულნი იყვნენ და არიან პარტიისადმი, სამშობლოსადმი მიცემული ფიცისა — ᲩᲐᲘᲪᲔᲓ დაიცვან ოქტომბრის მონაპოვარნი, ამრავლონ წარმატებები ჩვენი დიდი ცხოვრების ყველა დარგში, ყველა უბანზე. სწორედ ამის ნათელი დადასტურებაა რესპუბლიკის დროშაზე ორი ლენინის ორდენი, გასული საიუბილეო წლის სახახელო შედეგები... ამის ნათელი დადასტურებაა ახალი სოციალისტური ვალდებულებანიც, რომლებიც მან იკისრეს მიმდინარე წლისათვის, ხუთწლედის მესამე წლისათვის.

ეს წელი კი, რომელიც უკვე ორ თვეზე მეტია დაიწყო, ბევრ ახალსა და შესანიშნავ საქმეს გვპირდება. რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებებში ხაზგასმით არის ნათქვამი: ხუთწლედის მესამე, 1968 წელს ვადამდე, 25 დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 8 ათასი ტონა ფოლადი, 15 ათასი ტონა მზა ნაგლინი, 4 ათასი ტონა მილები, ათასი ტონა თუჯი, 30 ათასი ტონა მანგანუმი, ამოიღონ 45 ათასი ტონა ქვანახშირი, გამოუშვან 30 ავტომობილი, 12 ათასი ტონა ცემენტი, დიდი რაოდენობით ქსოვილი, ფეხსაცმელი, კვებისა და სხვა სამრეწველო პროდუქცია.

სერიოზული მიჯნების აღებას გვპირდებიან სოფლის მეურნეობის მშრომელებიც. მათ ვადაწყვეტეს ფართოდ გამოიყენონ არსებული რეზერვები და შეასრულონ ვალდებულებანი და წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარაატება გეგმით გათვალისწინებული 210 ათასი ტონის ნაცვლად გაზარდონ 215 ათას ტონამდე, უურძნისა — 406 ათასი ტონის ნაცვლად 422 ათას ტონამდე, ხილისა — 256 ათასი ტონის ნაცვლად 259 ათას ტონამდე, ციტრუსებისა — 2 ათასი ტონით, შაქრის ჭარხლისა — 10 ათასი ტონით, ხორცისა — 3 ათასი ტონით, რძისა — 6 ათასი ტონით. მნიშვნელოვნად გადიდდება სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებაც.

თავიანთი პატრიოტული სიტყვა თქვეს აგრეთვე მშენებლებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტივებმა, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა.

რესპუბლიკის მშრომელებმა ეს გადადებული ვალდებულებანი რომ იკისრეს, ტრადიციისამებრ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები გამოიწვიეს.

კარგი და საჭირო სიტყვა უკვე ითქვა. ვალდებულებები განიხილა და მიიღო საქართველოს სახალხო მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა, რომლის მონაწილეებმა მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მშრომელს გააძლიერონ ბრძოლა ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

სწორედ, თვითეული მუშისა და კოლმეურნის, მეცნიერისა თუ კულტურის მოღვაწის ღირსების საქმე ის არის, რომ ყოველმხრივ გამოავლინოს შემოქმედითი ინიციატივა, განამტკიცოს დისციპლინა და ორგანიზებულობა, მაქსიმალურად გამოიყენოს წარმოების რეზერვები, გაუფრთხილდეს შრომლიური ქალაქის, შრომლიური სოფლის ღირსებას, გააძლიეროს მოძრაობა კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრებისათვის. ეს კი საუკეთესო გარანტია იქნება იმისა, რომ ვალდებულებანი კონკრეტულ საქმეებად ვაქციოთ, რომ კვლავაც ერთი იყოს რესპუბლიკის მშრომელთა სიტყვა და საქმე.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა ამაღლდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობის დონე. მიღწეულ უნდა იქნას, რომ თვითეულმა ადამიანმა, რა უბანზეც უნდა მოღვაწეობდეს იგი, კარგად იცოდეს ამ საპატიო ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თავისი როლი და ადგილი. საქმისათვის გულანთებულ, მიზნის მიღწევაში ღრმად დარწმუნებულ ადამიანთა შრომა ხომ იმ მდინარეს ჰგავს, რომელიც აამოძრავებს შემოქმედებითს ენერგიას, წარმოშობს მრავალ ახალ სახარგებლო ინიციატივასა და თაოსნობას.

ამ ინიციატივასა და თაოსნობას კი დროული მზრუნველობა და მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენი რესპუბლიკის მეტმა წილმა მშრომელთა კოლექტივებმა კარგი სტარტი აიღეს მიმდინარე წელს. თავი იჩინა ბევრმა სიახლემაც, რაც მიმართულია შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისაკენ. ყოველი სასარგებლო ინიციატივა, სიახლე, ყოველი კარგი გამოცდილება სულ უფრო და უფრო მეტი კოლექტივების კუთვნილებად უნდა ვაქციოთ.

რა თქმა უნდა, სოციალისტური შეჯიბრების მიზანი ის როდია, რომ ვალდებულებანი შევასრულოთ მხოლოდ მოწინავეთა ხარჯზე. საქმის თავი და თავი ის არის, რომ ყველგან, ყველა კოლექტივში მივაღწიოთ შრომის მაღალ ეფექტიანობას. როგორც სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე ალინიშნა, ზოგიერთმა საწარმომ, მეურნეობამ ჯერ კიდევ ვერ აუწყო ფეხი საერთო რიტმს. მაგალითად, გასული წლის დავალებანი ვერ შეასრულეს ქიმიური, საშენ მასალათა სამინისტროების და სხვა საწარმოებმა. ამიტომ მეტად დიდი სამუშაო მოელით ჩამორჩენილი კოლექტივების პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს.

ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტთა აქტივობას, მათს პირად მაგალითს. სწორედ ისინი უნდა იყვნენ კვლავაც შეჯიბრების სათავეში, გამოიჩინონ მეტი ინტერესი არა მარტო საკუთარი შრომისადმი, არამედ გვერდით მომუშავე ამხანაგის საქმიანობისადმი და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული დახმარებაც აღმოუჩინონ მას.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა უკვე დაიწყო. მაშ, პრაქტიკულ საქმეშოზე, ამხანაგებო! ჩვენი ალალი დაპირება, პარტიისა და სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა კეთილ, ცოცხალ საქმეებად ვაქციოთ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲨᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡ — ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ

ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ კოლხიდის დაბლობი გადაიქცეს ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოების მსხვილ ბაზად. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 აგვისტოს დადგენილება კოლხიდის დაბლობის დაჭაობებული მიწების დაშრობისა და ათვისების შესახებ. ამასთან აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს კოლხიდის დაბლობში მელიორაციულ სამუშაოთა შესრულებისათვის. აშენდა სამი დიუკერი მდინარეებზე ცივსა, ტეხურასა და ნოგელაზე, ორი სატუმბავი სადგური, გადასასვლელი ხიდები, გაყვანილია 40 კილომეტრი სიგრძის სამეურნეობათაშორისო და შიდასამეურნეო გზები. მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა მშენებლობისა და მექანიზაციის საწარმოო-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. გაუმჯობესდა დასაშრობ სისტემათა ექსპლოატაცია და ჰიდრომელიორაციული და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ხარისხი.

კოლხიდის დაშრობილ მიწებზე შეიქმნა ბევრი საბჭოთა მეურნეობა, ხოლო ბოლო დროს — ორი მსხვილი საბჭოთა მეურნეობა „განთიადი“ და „კოლხეთი“, რომლებსაც მოჰყავთ ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი, დაფნა და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები.

მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ არსებითი ნაკლოვანებანია კოლხიდის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების საქმეში.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ 1966-1967 წლებში გეგმით გათვალისწინებული 7.110 ჰექტარი დაჭაობებული მიწების ნაცვლად ფაქტიურად მოახდინა 5.435 ჰექტარი მიწის მელიორაცია. მელიორაციულ და კულტურულ-ტექნიკურ ღონისძიებათა სრული კომპლექსი ვერ შეასრულა „კოლხიდმშენის“ ტრესტმა, აგრეთვე დაბალია საბჭოთა მეურნეობების ცალკეულ უბნებზე გაწეულ სამუშაოთა ხარისხი, რაც ხელს უწყობს წყლის ხანგრძლივ შეგუბებას და უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებაზე.

ნელი ტემპით მიმდინარეობს კოლხიდის დაბლობის მელიორაციის ერთიანი კომპლექსური სქემის შედგენის სამუშაოები.

იმის შედეგად, რომ „კოლხიდმშენის“ ტრესტი სუსტად არის აღჭურვილი ავტოტრანსპორტითა და საგზაო მექანიზმებით, აგრეთვე იმის გამო, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ვერ შეასრულა ტვირთზიდვის გეგმა კოლხიდის დაბლობის ზონაში, მნიშვნელოვნად ჩამორჩა გზების, ხიდებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოები.

მრავალწლიანი ნარგავების პლანტაციების გაშენებას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ზოგიერთ შემთხვევაში ისე ეწევა, რომ წინასწარ არ მიმართავს ნიადაგის გაკულტურებას, რაც უარყოფითად მოქმედებს სუბტროპიკული და ტექნიკური მცენარეების განვითარებაზე.

არასაკმარისია მეცნიერული კვლევის დონე იმ საკითხების შესწავლის დარგში, რომლებიც დაკავშირებულია კოლხიდის დაბლობის მიწების ათვისებასთან. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა ჯერ კიდევ საკმარისად ვერ გაშალეს მუშაობა კოლხიდის დაბლობის მიწების მელიორაციის აქტუალური საკითხების შესწავლისათვის.

საქართველოს სსრ სახმშენი, საპროექტო ორგანიზაციები ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების დაპროექტებისას არ ითვალისწინებენ კოლხიდის თავისებურებებს, იყენებენ სრულიად სხვა პირობებისათვის შედგენილ პროექტებს, რის შედეგადაც ამ პროექტებით აშენებულ შენობებს ბევრი ნაკლი აქვს, ნაადრევად სჭირდება კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის მიზანია მნიშვნელოვნად გაძლიერდეს კოლხიდის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების სამუშაოები.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ 1966-1970 წლებში სამელიორაციო სამუშაოები უნდა განახორციელოს 56,2 ათას ჰექტარ-

(დასასრული მე-2 გვერდზე).





სამამულო მარკის ტექნიკა დღედაღამ გუგუნებს გაგრიდან ბათუმამდე 220 ათასი ჰექტარი ჭაობის ჩასაყენებლად ხალხის სამსახურში. ამოშრობასთან ერთად მიმდინარეობს წყალუხვი მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოები. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ მდინარე წებელდის რეგულირების სამუშაოებს (ვეირების დასაწყისი), ხოლო მეორე სურათზე — მდინარე ფსოუს ნაპირსამაგრ სამუშაოებს.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

4 მარტს კრემლში დამთავრდა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XIV ყრილობა.

დღის სხდომაზე ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გ. ა. მაკეევმა გამოაცხადა ფაფული კენჭისყრის შედეგები. საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს ახალ შემადგენლობაში არჩეულია 304 წევრი და 105 კანდიდატი. ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეულია 55 კაცი.

საღამოს გაიმართა საბოლოო სხდომა.

დელეგატები და სტუმრები მჭეხარე ტაშით შეხვდნენ დარბაზში შემოსულ ამხანაგებს ა. პ. კირილენკოს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, ა. ნ. შელეპინს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ს. სოლომენცევს.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

შემდგომ დელეგატებმა მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შესახებ.

ყრილობის დელეგატები ტაშის გრიალით შეხვდნენ წინადადებას, რომ პროფკავშირთა XIV ყრილობის სახელით მისალმებელი წერილი გაუგზავნონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XIV ყრილობა, ნათქვამია მისალმებაში, პროფკავშირთა 86 მილიონი წევრისა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის სახელით მგზნებარე, გულითად სალამს უთვლის მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და მის მებრძოლ შტაბს — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

პროფკავშირთა XIV ყრილობა აღუჭვამს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა პროფკავშირები პირნათლად შეასრულებენ პარტიის მიერ დაკისრებულ ამოცანებს.

თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა პროფკავშირთა XIV ყრილობა დახურულად გამოაცხადა. მან ყრილობის მონაწილეებს უსურვა ახალი წარმატებანი მუშაობაში ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კრემლის ყრილობათა სასახლეში საზეიმოდ ყმერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. (საკდესი).

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

4 მარტს გაიმართა სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობის მიერ არჩეული საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს პლენუმი.

პლენუმმა აირჩია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი 27 კაცის შემადგენლობით.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ა. ნ. შელეპინი; საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებად არჩეული არიან ვ. თ. ბოგატიკოვი, ი. მ. ვლადიმენკო, ტ. ნ. ნიკოლაევა, პ. ტ. პიმენოვი, ვ. ი. პროხოროვი, ნ. ნ. რომანოვი, ს. ა. შალეკი.

პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან ვ. ვ. არხიპოვი, ვ. ა. ბლუმი, ბ. ს. ეგოროვი, მ. ა. ზაიდოვი, შ. დ. კიკნაძე, ვ. კ. კლიმენკო, ი. ი. კოზლოვი, მ. ა. კოლბეცკაია, ვ. ი. კრესტიანინოვი, ნ. ნ. მაკაროვი, ვ. ა. მაკეევი, ნ. ა. ნედოსეკინა, ბ. წ. პასტუხოვი, ლ. ი. პოგორბნოი, ბ. ა. პოპოვი, ვ. ვ. სილუანოვი, ა. მ. სუბოტინი, ე. ტ. ჩერედნიჩენკო, ი. ფ. შკურატოვი.

ბაიმპერა ავრეთვე პროფკავშირთა XIV ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ა. ნოვიკოვი.

(საკდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ბუდაპეშტი, 3 მარტი. (საკდესი). საკონსულტაციო შეხვედრის მე-5 და მე-6 დღეების მუშაობის შესახებ აქ გავრცელებულ კომუნიკეში ნათქვამია:

კომუნისტური და მუშათა პარტიების საკონსულტაციო შეხვედრის სხდომაზე, რომელიც პარასკევს, 1 მარტს საღამოს გაიმართა, სიტყვები წარმოთქვეს შემდეგმა ამხანაგებმა:

ანტონიო პენედამ, სალვადორის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა, თქვა: სალვადორის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ორი საარსებო გარემოებით — უნდა დავძლიოთ გათიშულობა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში და მოვაწყოთ ჭეროვანი ბრძოლა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ. ამის მიხედვით საჭიროდ მიაჩნია მოვიწვიოთ კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი მსოფლიო თათბირი, რომლის მთავარი მიზანი იქნება შეიმუშაოს საფუძვლები კომუნისტური, პროგრესული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებისათვის ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში. თათბირის მოწყობის ადგილი შეიძლება იყოს მოსკოვში, თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ სხვა ქვეყნებში მომავალი საერთაშორისო თათბირების მოწყობის შესაძლებლობა.

ჩვენი პარტია მხარს უჭერს იმ იდეას, რომ ახალ თათბირზე მოვიწვიოთ ყველა პარტია, მაგრამ ვფიქრობ, რომ თათბირი იმ შემთხვევაშიც უნდა მოვიწვიოთ, თუ ერთი ან რამდენიმე პარტია არ მოისურვებს თათბირში მონაწილეობას.

თათბირი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი, თუმცა სასარგებლო იქნებოდა ამ თათბირის შემდეგ მოგვიწყო უფრო ფართო საერთაშორისო შეხვედრა, სადაც კომუნისტები და სხვა ანტიიმპერიალისტური რევოლუციური ძალების წარმომადგენლები ერთად მიიღებდნენ მონაწილეობას განხილვაში.

ნიკოლა შაუმი, ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთობისა და შეკავშირებისადმი მზარდი მისწრაფება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთავარი ტენდენცია გახდა. ახლანდელი საკონსულტაციო შეხვედრა ამის თვალნათლივ დადასტურებაა.

დელეგაცია ადასტურებს თავის ერთგულებას 1957 და 1960 წლების დოკუმენტებისადმი და აღნიშნავს წარმატებებს, რომლებიც მოიპოვა ბოლო წლებში კომუნისტური მოძრაობის სხვადასხვა რაზმმა. დელეგაცია აცხადებს, რომ იმპერიალიზმის აგრესიის გაძლიერების მიუხედავად, ძალების თანაფარდობა მსოფლიოში ხელს უწყობს მშვიდობისა და პროგრესის საქმეს. ამის მაგალითია მოვლენათა მიმდინარეობა, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივ ომთან ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, და არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიასთან, რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის იმპერიალიზმი.

დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ასრულებენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხთა ეფექტიან მხარდაჭერაში.

შემდეგ ლიბანის დელეგაციამ განაცხადა, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობა ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობის ობიექტური საფუძველია, და დასძინა: ამისათვის, რომ მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეხვედრა წარმატებითი იყოს, საჭიროა ჯერ მოეწყოს კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი.

ლიბანის დელეგაციამ დაგმო მაო ძედუნის გამთიშველური და ძირგამომთხრელი საქმიანობა კომუნისტურ მოძრაობაში და არაბული ქვეყნებისა და მსოფლიოს სხვა რაიონების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

შეეხო რა იმპერიალისტურ შეტევას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, დელეგაციამ განსაკუთრებით აღნიშნა არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელიც ჩვენს დღეებში გადამწყვეტი ფაქტორია არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისა და განვითარების უზრუნველყოფაში.

ლიბანის დელეგაცია ხაზებით უჭერს მხარს წინადადებას, რომ საერთაშორისო თათბირი მოიწვიონ მიმდინარე წლის დამლევს მოსკოვში, და ეს არჩევანი მოწმობს მსოფლიოს კომუნისტთა დიდ პატივისცემას ლენინური პარტიისადმი იმ როლისათვის, რომელსაც იგი ასრულებს საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში. დელეგაციამ მბარი დაუჭირა მეორე წინადადებასაც, რომ შეიქმნას მოსამზადებელი კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ყველა პარტია. ამ კომისიის ადგილსამყოფელი უნდა იყოს ბუდაპეშტი. თათბირის დღის წესრიგში შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებინა კომუნისტური მოძრაობის წინაშე დასახულ ახალ პრობლემათა ანალიზი და ამოცანების განსაზღვრა. ყოველივე ეს უნდა აღინიშნოს ერთ დოკუმენტში.

ჰაიტის სახალხო ერთობის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თათბირი ვერ შემოიფარგლება იმპერიალ

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲨᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡ — ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ზე, აქედან კოლხიდის დაბლობზე — 53 ათას ჰექტარზე, მათ შორის: გადამეტტენიანებული და დაჭაობებული მიწები უნდა დაამროს 10,2 ათას ჰექტარზე და მოახდინოს წინათ აშენებული დასაშრობი სისტემების რეკონსტრუქციის 42,8 ათას ჰექტარზე, ამასთან ამ მიწებზე შეასრულოს კულტურულტექნიკური სამუშაოთა კომპლექსი. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ახალი ფართობების დაშრობასა და ათვისებასთან ერთად უნდა შეასრულონ სამელიორაციო და კულტურტექნიკური სამუშაოები წინათ შექმნილი საბჭოთა მეურნეობების მიწებზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გააძლიეროს მუშაობა იმ ანგარიშით, რომ დადგენილ ვადაში (1968 წელს) დაამთავროს კოლხიდის დაბლობის 220 ათას ჰექტარ ფართობზე მელიორაციის ერთიანი კომპლექსური სქემის შედგენა.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტსა და „ორგწყალმშენის“ ტრესტს ნება დაერთოთ 1968 წელს გამოიყენონ საჭირო რაოდენობით სპეციალისტები დროებით სამუშაოზე შეთავსებით;

სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევისათვის 1968-1969 წლებში სამელიორაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ხობის, აბაშისა და გალის რაიონებში ამ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელსაც სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები წარადგენენ;

უნდა შედგეს ყულევის სატუმბავი სადგურის პროექტი კოლხიდის დაბლობის პირველი რიგის დაშრობილი მასივიდან წყლების გადასაგდებად და მისი მშენებლობა დამთავრდეს 1971 წლის 1 ივნისისათვის;

კოლხიდის დაბლობის დასაშრობი სისტემების ექსპლოატაციის გასაუმჯობესებლად 1968 წლის პირველ აპრილამდე კოლხიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო ფოთიდან გადატანილ უნდა იქნას დაბა ხობში.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაევალა ხობში ავტოსატრანსპორტო კანტორის მოწყობამდე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მუშაობის ადგილის მიხედვით კოლხიდის ზონაში შექმნას ავტოსატრანსპორტო კოლონები მხოლოდ და მხოლოდ „კოლხიდმშენის“ ტრესტის მომსახურებისათვის. ხობში ავტოსატრანსპორტო კანტორის მოსაწყობად 1968 წელს უნდა შედგეს ავტოგარაჟის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო მისი მშენებლობა დამთავრდეს 1969 წელს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 1969 წლის საიჯარო სამუშაოთა გეგმის პროექტში უნდა გაითვალისწინოს ასფალტბეტონის ბაზის, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობა იმ საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის თანახმად, რომელსაც მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო წარადგენს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების თავაარმა სამმართველომ ჰიდროგეოლოგიური კვლევის მოსაწყობად, აგრეთვე გზატკეცილების მშენებლობის სამუშაოთა გაშლისათვის 1969 წლის გეგმის პროექტში უნდა გაითვალისწინონ, რომ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიაწოდონ მთელი რიგი მექანიზმები და მოწყობილობა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება ეძლევა:

კოლხიდის დაბლობის დაშრობილ მიწებზე ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ახალი საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის დროს მრავალწლიანი მცენარეები გააშენოს მიწების გაკულტურულების შემდეგ, ამასთან აუცილებლად განახორციელოს მოსამზადებელი სამუშაოები კოლხიდის კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის რეკონსტრუქციით;

სამელიორაციო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კოლხიდის დაშრობილ მიწებზე გააშენოს მინდორსაცავი ტყის ზოლები, რაც სავალდებულო აგროტექნიკური საშუალებაა;

ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გადასატანად კოლხიდის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობაში 1968 წელს შეადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 1969 წელს შეუდგნენ ტექნიკუმის შენობის მშენებლობას.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და კოლხიდის კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური ვალდებული არიან:

გადაჭრით გააფართოონ სამეცნიერო კვლევა და დაიჩქარონ კოლხიდის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების რეკომენდაციათა დამუშავება, რისთვისაც ადგილებზე იყოლიონ მეცნიერთა ჯგუფები ინსტიტუტების წამყვან მუშაკთა მეთაურობით. ამასთან პასუხისმგებლობა კოლხიდის დაბლობთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებისათვის დაეკისროს ინსტიტუტების დირექტორებსა და მათს მოადგილეებს სამეცნიერო ნაწილში;

სამეცნიერო კვლევის თემატურ გეგმაში ფართოდ ასახონ კოლხიდის დაბლობის მიწების მელიორაციისა და ათვისების საკითხები;

საქართველოს წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტს 1968 წლის 1 ივლისისათვის გადასცენ სამეცნიერო კვლევის არსებული მასალები და რეკომენდაციები, რათა ამის საფუძველზე შეადგინოს კოლხიდის დაბლობის 220 ათასი ჰექტარი მიწების მელიორაციისა და ათვისების ერთიანი კომპლექსური სქემის პროექტი.

1968 წლის დამლევისათვის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულად საკავშირო სამეცნიერო საკვლევმა ინსტიტუტმა უნდა შეადგინოს კოლხიდის მიწებზე ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის დროებითი აგროწესები და ტექნოლოგიური რუკა.

კოლხიდის ზონაში მომუშავე სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაციას ეკისრება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

სახმშენი ვალდებულია კოლხიდის დაბლობში ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების დაპროექტების დროს გაითვალისწინოს ამ ზონის თავისებურებანი და სპეციფიკური პირობები და არ დაუშვას შაბლონი ამ საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალეს აგრეთვე:

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან დადებული გენერალური საიჯარო ხელშეკრულების თანახმად 1968 წელს შეუდგეს ხობის მექანიზაციის სამმართველოს სარემონტო-ტექნიკური ბაზის მშენებლობას;

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს — 1968-1969 წლებში განახორციელოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან სახელშეკრულებო საწყისებზე სოფელ ნოჯიხევში პროფტექნიკური სასწავლებლის 200 კაცისათვის გათვალისწინებული საერთო საცხოვრებლის მშენებლობა;

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან გენერალური საიჯარო ხელშეკრულებით — 1969 წელს შეუდგეს 18 კილომეტრი სიგრძის გზატკეცილის მშენებლობას შავი საფარით სოფელ ხორგიდან სოფელ ყულევამდე;

სსრ კავშირის გზატკეცილების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს — 1968 წელს შეადგინოს ხორგა-ყულევის გზის საპროექტო დოკუმენტაცია;

კავკასიის „ელექტროსოფლმშენს“ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან გენერალური საიჯარო ხელშეკრულებით — 1969 წელს შეუდგეს მენჯი-ყულევის ელექტროგადამცემი ხაზის, ყულევის ქვესადგურისა და ყულევის სატუმბავი სადგურის კვებისათვის მენჯის ქვესადგურის გასაყვანი უჯრედის მშენებლობას. „ენერგოსელპროექტის“ თბილისის განყოფილებას — „საქმთავარენერგოსთან“ შეთანხმებული საპროექტო დავალების შესაბამისად — 1968 წლის 1 ივლისამდე სამუშაო ნახაზებით უზრუნველყოს ყულევის ქვესადგური და მენჯი-ყულევის ელექტროგადამცემი ხაზები;

ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან გენერალური საიჯარო ხელშეკრულებით — 1968 წელს შეუდგეს ხობის, აბაშისა და გალის რაიონების სარემონტო-მექანიკური ბაზებისათვის საჭიხე მეურნეობის მშენებლობას;

ცეკავშირის გამგეობას — გაზარდოს სავაჭრო საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ქსელი კოლხიდის დაბლობის ზონაში;

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს — გააფართოოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კოლხიდის ზონის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მოსახლეობის მომსახურება;

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, კოლხიდის ზონაში განლაგებული საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და კოლმეურნეობების გამგეობებს — და საშრობი არხებისა და ნაგებობების, აგრეთვე ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მიღების შემდეგ უზრუნველყონ მათი გულმოდგინე მოვლა-პატრონობა, მიაღწიონ იმას, რომ ყველა ეს ობიექტი სანიმუშო მდგომარეობაში იყოს.

პარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებმა, ფოთის ქალაქკომმა, რაიკომებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, ფოთის საქალაქო აღმასკომმა და გალის, ხობის, ცხაკაიას, აბაშის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ქობულეთის რაიონების აღმასკომებმა, იმ ორგანიზაციებმა და უწყებებმა, რომლებიც მუშაობენ კოლხიდის დაბლობის მიწების დაშრობასა და ათვისებაზე, საჭირო რაოდენობით გამოჰყონ მუშახელი და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ დასახულ სამუშაოთა შესრულებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად — 1968-1969 წლებში მოაწყოს ჰიდრომელიორაციისა და ჰიდროსამელიორაციო სამუშაოთა მექანიზაციის სპეციალობებით სტუდენტთა მომზადება ყოველწლიურად 50 კაცის მიღების კონტინგენტით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ კოლხიდის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისებისათვის ბრძოლა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა და საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, კოლხიდის დაბლობის ზონის რაიაღმასკომებს ავალებენ მოაწყონ ყოველდღიური კონტროლი კოლხიდის შესახებ ამ და წინათ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისადმი. (საქდესი).

ᲮᲘᲚᲓᲝ ᲜᲝᲛᲕᲔᲢᲒᲠᲔᲑᲘ

1968 წლის მეორე კვარტალში ტოტალიტარი მეურნეობის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა „საქსოფლტექნიკის“ მარნეულის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზამ, რომელსაც გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკისა“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ჯილდოს გადაცემისათვის მიძღვნილ კრებაზე მოვიდნენ მარნეულის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონების მექანიზატორები, ვაჭრობის მუშაკები, საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები. კრება გახსნა პარტიის მარნეულის რაიკომის მეორე მდივანმა ბ. კალაევმა. მან სიტყვა მისცა „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ი. ხოხლოვს.

— მაღალი ჯილდო, რომელიც სარეალიზაციო ბაზამ დაიმსახურა, — თქვა მან, — კოლექტივის ნოვატორული ძიების კანონზომიერი შედეგია. თითქმის ერთი წელია, რაც მარნეულელებმა დანერგეს სამი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურების რგოლური მეთოდი. ეს არის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის, ინვენტარის, სასუქების, შხამქიმიკატების შეზიდვის პროგრესული სისტემა, რომელმაც გაამართლა დანიშნულება, შეამცირა ავტომანქანების უქმი გარბენები, მიმოქცევის ხარჯები. გასული წლის მარტო მეოთხე კვარტალში სარეალიზაციო ბაზის საქონელბრუნვამ შეადგინა 1739 ათასი მანეთი, რაც გეგმაზე ბევრად მეტია, მიმოქცევის ხარჯები შემცირდა 7,9 პროცენტიდან 6.4 პროცენტამდე.

ი. ხოხლოვმა გულითადად მიულოცა მარნეულის სარეალიზაციო ბაზის კოლექტივს ღირსეული ჯილდო და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა ბაზის დირექტორის მოადგილეს გ. კაპანაძეს.

გულთბილი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს მარნეულის სარეალიზაციო ბაზის მუშაოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. სტეფანორუეკიანმ, „საქსოფლტექნიკის“ მარნეულის განყოფილების მმართველმა ა. დარჩიამ, მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა კ. ჯაშმა, ყაჩაღნის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა მექანიკოსმა ე. ფუსტაფაევმა, მარნეულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა ო. გრიგორიანმა, მარნეულის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ფოტიადისმა, თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. თეთრუაშვილმა და სხვებმა.

კოლექტივის სახელით მაღალი ჯილდოსათვის მადლობა გადაიხადა გ. კაპანაძემ. (საქდესი).

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲝᲗᲝ ᲛᲜᲔᲜᲯᲜᲐᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲝ ᲑᲘᲣᲠᲝ. ᲐᲥ ᲑᲘᲕᲠ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲗᲔᲛᲐᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲝᲠᲡ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ — ᲗᲔᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ Ნ. ᲨᲔᲚᲘᲛᲘᲜᲗᲝᲜᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲚᲘᲚᲘᲐᲜ ᲠᲝᲢᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲠᲐ ᲯᲘᲮᲕᲐᲫᲔ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲔᲝᲔᲠᲖᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲗᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ.

ფოტო მ. ჩაჩანიძისა.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ“ № 2

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოველთვიურ ჟურნალ **„საქართველოს სახალხო მეურნეობის“** მორიგი, 1968 წლის მეორე ნომერი. ჟურნალი იხსნება **მოწინავე** წერილით — საბჭოთა საქართველოს 47-ე წლისთავი.

განყოფილებაში **„დაგეგმვისა და ეკონომიური მუშაობის საკავშირო თათბირის შესახვედრად“** დაბეჭდილია: **გ. მალაშხია, ა. ჩაჩიბაია** — ელექტროტექნიკურ მრეწველობაში ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების გზები; **ო. ვაშაკიძე, ზ. გელიაშვილი** — საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა; **ბ. გაბიძაშვილი** — მათემატიკური მეთოდების გამოყენება შიდასაკარნო დაგეგმვაში; **ა. კიკნაველიძე** — კოლმეურნეობათა ეკონომიური განვითარების დონის განსაზღვრის საკითხები.

„წარმოების პროგრესი და ენის კულტურა“. ამ განყოფილებაში გამოქვეყნებულია **ი. ქავთარაძის** სტატია — ეროვნული ენის მაღალი კულტურისათვის.

განყოფილებაში **„ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“** დაბეჭდილია **გ. ჭანუყვაძის** წერილი — ერჰარდისეული „ფორმირებული საზოგადოების“ კრიზისი.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: **„მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების დასახმარებლად“, „მიმოხილვა“ „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“, „ინფორმაცია“.**

ᲛᲔᲣᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲜᲔᲜ... ᲠᲐᲢᲝᲛᲪ?!

ᲕᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ

ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, საითაც კი გაიხედავ, მშენებლობა მიდის. ამწეები და ხარაჩოები ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ჩვეულებრივი პეიზაჟების განუყოფელი ნაწილი გახდა. რამდენი რამ გაკეთდა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მარტო თბილისში?

ჩვენს თვალწინ ტრიალი მინდვრები შესანიშნავ საცხოვრებელ მასივებად იქცნენ. ცარიელ ადგილს მიეცნენ მშენებლები და ააგეს სახლები, გასჭრეს გზები, აახმიანეს მიდამო შენების განუმეორებელი ხმაურით.

მაგრამ როდენ გულდასაწყვეტია, როცა მშენებლობა ფერხდება, როცა წლებით ერთ ადგილს ტკეპნიან და ან ცუს ნაბიჯით მიიწევენ წინ. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ამგვარი შემთხვევები ხშირია. ეს კი იწვევს გეგმის ჩავარდნას, მუშახელისა და ტექნიკის მოცდენას, სახელმწიფო სახსრების განიავებას...

ამისთანა მაგალითები მრავალია. რესპუბლიკის ბევრმა სამშენებლო სამმართველომ ვერ გაანაღდა გასული წლის ვალდებულებები. მათ რიცხვშია მთავართბილმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოც, რომლის არსებობის მანძილზე არასოდეს არ ჰქონია ადგილი გეგმის შეუსრულებლობას. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მე-9 სამშენებლო სამმართველო რესპუბლიკაში ერთადერთი კომუნისტური შრომის კოლექტივია. ამდენად ეს ჩამორჩენა და მისი გამომწვევი მიზეზები შემაშფოთებელია. შემაშფოთებელია კიდევ იმიტომ, რომ ჩვენთან სუბარში სამმართველოს მმართველმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ინჟინერმა შ. შალიკაშვილმა პირდაპირ განაცხადა:

— 1968 წელს აღებული ტემპი და მომარაგების ის სურათი, რომელიც გვაქვს, იმდენად ჯეგუს შარშანდელს, რომ ადვილი შესაძლებელია, თუ ეს დროულად არ გამოსწორდა, უარესი მდგომარეობა შეიქმნას!

1967 წლის გეგმა საკუთარი ძალებით სამმართველომ შეასრულა 100,8 პროცენტით, საცხოვრებელი ფართობის ჩაბარებისა მხოლოდ 70,7 პროცენტით, გენერალური იჯარისა 75 პროცენტით.

რამ გამოიწვია ეს?

გასული წლის დასაწყისიდანვე სამშენებლო სამუშაოთა წარმოება დიდი შეფერხებით. დაიწყო. ვერიწყლის დასახლების ათი ასაგები საცხოვრებელი სახლის ტერიტორია გათავისუფლეს (ამას კი ექვსი თვე მოუნდა), მაგრამ „თბილმთავარმშენმა“ ობიექტი მოულოდნელად სხვა სამმართველოს გადასცა. მის ნაცვლად მიღებულ იქნა ისეთი ობიექტები (პავლოვის, დოლაძისა და კუტუზოვის ქუჩებზე), სადაც სამუშაოების დაწყება შეუძლებელი იყო. ასე რომ, 1967 წლის გეგმის შესრულება ძირითადად დაიყრდნო 1966 წლიდან გადმოტანილ დაუმთავრებელ მშენებლობას! 41 სამშენებლო ობიექტიდან გასულ წელს საექსპლოატაციოდ გადაიცა მხოლოდ 21. ექვსი მსხვილმლოკიანი სახლის ჩაბარება გადმოტანილია მიმდინარე წლისათვის, ხოლო 12 ობიექტზე ტერიტორიების გაუთავისუფლებლობის გამო(?) დღესაც არაფერი კეთდება. ერთი სიტყვით, არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა. გარდა ამისა, მშენებელთა მომარაგებაც დაბალ დონეზეა.

გადავხედოთ ფაქტებს. 1967 წელს შენდებოდა 6 მსხვილმლოკიანი 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. მესამე კვარტალის ბოლომდე სამმართველოს უნდა მიეღო 48 სართულის კომპლექტი სახურავების კონსტრუქციების ჩათვლით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თვითეულ ბრიგადას უნარი შესწევს თვეში ორი სართული დაამონტაჟოს, ე. ი. ექვს ბრიგადას 48 სართული შეეძლო 4 თვეში დაემონტაჟებინა, სახურავიანად კი 5 თვეში. მაგრამ „საქმშენნინფუსტრის“ ქარხნებმა 48 სართულის დაკომპლექტება დღემდე ვერ შეძლეს. ამის გამო, მართალია სამმართველომ კორპუსებზე 981 ათასი მანეთის ღირებულების სამუშაოები აწარმოვა, სამაგიეროდ გარეკვეამ, კონსტრუქციებისა და გარკვეული დეტალების უქონლობის გამო, შეადგინა 941 ათასი მანეთი.

არც სხვა ობიექტების მასალებით მომარაგების საქმეა კარგად. დიდი მნიშვნელობა აქვს დროულ და გეგმაზომიერ მომარაგებას. მაგრამ ასეც ხდება. ვთქვათ, არ მოაქვთ აგური, შემდეგ კი ერთბაშად იმდენს მოიტანენ, რომ ვერ აუხვალ.

გასული წლის 11 თვისათვის მშენებლობის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული ყო: აგურით — 52 პროცენტით, სასაქონლო ბეტონით — 94 პროცენტით, დაბრეხილი ხე-ტყით — 28 პროცენტით, ქვიშით — 48 პროცენტით და სხვ. დარჩენილ ერთ თვეში მომმარაგებლებს მთლიანადაც რომ შეესრულებინათ მოთხოვნილება (რაც მათ არ გაუკეთებიათ), მშენებლები უბრალოდ ფიზიკურადაც ვერ შეძლებდნენ მასალების ათვისებას. რა ფასი აქვს ასეთ მომარაგებას? ეს უნდა ვკითხოთ რკინაბეტონის კონსტრუქციების ნაკეთობათა № 1 კომბინატის, რკინაბეტონის ნაკეთობათა № 3 ქარხნის, ხისდამუშავებელი № 3 კომბინატის, აგრეთვე მეტეხისა და აეკალის აგურის ქარხნების, არამადნეული და ინერტული მასალების კომბინატის და სხვა საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ მშენებელთა დაკვეთებს.

რასაკვირველია, სწორი როდი იქნება გეგმის შეუსრულებლობა მთლიანად სხვა ორგანიზაციებს გადავაბრალოთ. კომუნისტური შრომის № 9 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივსა და მის ხელმძღვანელობასაც მოუძღვის ამაში ბრალი. **მშენებლებიც არ მალავენ, რომ ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე როდი იდგა შრომის ორგანიზაცია, რომ ხშირად დაბალი იყო საწარმოო დისციპლინა, არ ვლინდებოდა რეზერვები და არ ხდებოდა მათი ეფექტური გამოყენება, ობიექტს ხშირად დროულად ვერ უზრუნველყოფდნენ საჭირო კვალიფიკაციისა და რაოდენობის მუშახელით.**

1968 წლის გეგმა მე-9 სამშენებლო-სამმართველოს დიდი აქვს, რომლის 72 პროცენტს დოლაძის ქუჩის განაშენიანება და კიდევ ორი ობიექტის მშენებლობა შეადგენს. მაგრამ ის სურათი, რაც გვაქვს, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რომ გეგმა კვლავ ქაღალდზე დარჩება. და აი რატომ.

პეკინის ქუჩაზე (№ 27) მშენებლები დღესაც დგანან. აქ წლების განმავლობაში მიტოვებული მშენებლობა იყო. ახლაც ობლად გამოიყურებიან პირველი სართულის შიშველი კიდლები.

არც თუ დიდი ხნის წინ აქ კვლავ მოვიდნენ მშენებლები, რომლებიც თითქმის ორი ათასი მოსწავლისათვის აშენებენ სკოლას, მაგრამ ექსკავატორების, ბულდოზერების გამოყენება შეუძლებელია, რადგან განაშენიანების ფართობი დღესაც არ არის განთავისუფლებული მცხოვრებლებისაგან! ამიტომ სამშენებლო მძლავრი ტექნიკის საქმეს მშენებლები ხელით, მამაპაპური წესით ასრულებენ.

პავლოვის ქუჩაზე შეჩერებულია 8-სართულიანი სახლის მშენებლობა. მიზეზი? გამოთავისუფლებული არ არის სამშენებლო მოედანი. მაღალი ძაბვის ელექტროსადგურისა და ასაღები საცხოვრებელი სახლების გამო ვერ საძირკველიც არ არის გათხრილი.

კუტუზოვის ქუჩაზე ექვსსართულიანი სახლის მშენებლობა გაჩერებულია. გაჩერებულია იმიტომ, რომ სამშენებლო მოედანი არ არის გამოთავისუფლებული, არ არის გადატანილი მიწისქვეშა და საჰაერო კომუნიკაციები. ეს ყველაფერი კი დამკვეთის — თბილისის საქალაქო საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს საქმეა.

მშენებლები არ მალავენ, რომ მართლაც არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გასულ წელს და, რაც მთავარია, არც მიმდინარე წლის გასული ორი თვე იძლევა ოპტიმიზმის მიზეზებს.

გასულ წელს თითქმის იმავე მიზეზებით, როგორსაც იდგილი ჰქონდა № 9 სამშენებლო სამმართველოს პრაქტიკაში, გეგმები სხვადასხვა მაჩვენებლებით ვერ შესრულეს „მთავართბილმშენის“ № 4 სამშენებლო სამმართველომ, № 5 სამშენებლო სამმართველომ; № 10 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველომ; ამავე ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველომ, № 3 ტრესტის № 6 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ, სამოქალაქო ბინათმშენებლობის სამმართველომ და სხვ.

როგორც ჩანს, შექმნილი მდგომარეობა ერთეული მაგალითებით როდი განისაზღვრება.

თანამედროვე მშენებლობაში ჩაბმულია მრავალი ორგანიზაცია, რომელთა მარტო ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგიყვანდა. მშენებლობა ჯაჭვია, რომლის ერთი სუსტი რგოლიც კი არღვევს მის მთლიანობას, მის სიძლიერეს, და რა მტკიცეც უნდა იყოს დანარჩენი კვანძები, სუსტი რგოლი გამოიწვევს მთელი ჯაჭვის შესუსტებას და მოშლას. მას ვერ ამოიღებ და ვერ გადაადგებ. ამიტომ თვითეული ჩავარდნა, რა ადგილასაც უნდა მოხდეს იგი, საქმეს სერიოზულ ზიანს აყენებს, როგორც ზემომოყვანილმა ფაქტებმა და ციფრებმა გვიჩვენა. ეს ანბანური ჭეშმარიტება არ უნდა დავიწყონ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტებმა და სამმართველოებმა, დამკვეთმა და საპროექტო ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ საშინ მასალათა სამინისტრომ, მისმა საწარმოებმა, რომლებიც ამარაგებენ მშენებლებს, ყველამ, ვინც მეტნაკლებად დაკავშირებულია მშენებლობასთან.

Ო. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲒᲝᲚᲜᲘᲡᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ მუშაობს ბოლნისის საკონსერვო ქარხანა. იგი თავის პროდუქციას — კონსერვებსა და ხილის ნატურალურ წვენს ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში გზავნის. მაგალითად, ამ დღეებში ქარხანამ თავისი პროდუქცია გაუგზავნა ქალაქებს პერმს, თბილისს, სვერდლოვსკს და სხვა სამრეწველო ცენტრებს.

— 215.000 მანეთის პროდუქცია მომხმარებელს! — ასეთია ბოლნისელ მეკონსერვეთა ვალდებულება მიმდინარე წელს.

Შ. ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲘ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲮᲡᲝᲕᲠᲝ

ᲛᲐᲠᲪᲘ გაზაფხულის მოსვლას გვამცნობს. მინდვრისაკენ სამუშაოდ გვიხმობს.

ახლა მთავარია, თუ რამდენად გონივრულად გამოიყენებენ მხვნელმთესველები, მეჩაიეები, მევენახეები, მეხილეები გაზაფხულის პირველ თვეს, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული, გვექნება თუ არა შემოდგომაზე სოფლის მეურნეობის უხვი პროდუქტები. ხალხს უთქვამ

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა გუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრა

(დასასრული).

ვიეტნამის ომის დასასრული, ხელი შეეწყო კუბის დაცვისათვის იანკების მუქარისაგან, შემეცირებინა ხალხთა ტანჯვა. ამიტომ ურუგვაის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევას ჯერ კიდევ მიმდინარე წელს, რათა ხელი შეუწყოს მოძრაობის ერთობას და განსაკუთრებით ვიეტნამთან სოლიდარობის აქციებს.

თათბირის მოსამზადებელმა კომისიამ, თქვა მან, ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ თათბირში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება ბევრმა პარტიამ.

ენრიკო ბერლინგუერმა, იტალიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროსა და ხელმძღვანელობის წევრმა, განაცხადა, რომ ზოგიერთი პარტიის დაუსწრებლობა ვერ შეუშლის ხელს თათბირის მომზადებასა და მოწვევას. საჭიროა მოვერიდოთ პარტიათა კოლექტიურ და საჯარო დაგმობას, რა სახითაც უნდა იყოს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ პარტიებს შეეძლოთ ყოველ მომენტში მიიღონ მონაწილეობა მოსამზადებელ მუშაობაში. იტალიის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ დღის წესრიგი უნდა განსაზღვროს ყველაზე გადაუდებელი პოლიტიკური და საბრძოლო მიზნებით, როგორიცაა: იმპერიალისტური აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევა და მსოფლიოს მთელი ძალების მობილიზაცია. ეს არის ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც უნდა მოვიწვიოთ თათბირი. ამ თათბირში, ჩვენი აზრით, უნდა მონაწილეობდნენ (ხოლო ამ მონაწილეობის ფორმები ჯერ კიდევ უნდა განსაზღვროთ) აგრეთვე სხვა რევოლუციური, ანტიიმპერიალისტური და პროგრესული ძალები, რომლებიც დანტერესებულნი არიან იბრძოლონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს შევაკავშიროთ მთელი ძალები უწინარეს ყოვლისა იმპერიალიზმის აგრესიის გაძლიერების წინააღმდეგ. იტალიის კომუნისტური პარტია იწონებს თათბირის მოწვევას მიმდინარე წელს, აგრეთვე მოსამზადებელი კომისიის შექმნას, რომელშიც სურვილისამებრ შეუძლია მონაწილეობა თითოეულ პარტიას, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა იგი ამ შეხვედრაში. ფართო განხილვისა და საბერო დოკუმენტალური მასალების შეგროვების შემდეგ შეიძლება მოვიწვიოთ ახალი საკონსულტაციო შეხვედრა იმ მიზნით, რომ უკეთ მოვაწყოთ მოსამზადებელი მუშაობა უკანასკნელ ეტაპზე. იტალიის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ საჭიროა ფართო საკრებობა როგორც მოსამზადებელ პერიოდში დისკუსიის დროს, ისე თვით თათბირზე.

კოსტას კოლიანნისმა; საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, თქვა თავის გამოსვლაში: ჩვენ მიგვაჩნია, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო მოწვევის პირობები მოშზეფდა. ეს ჩვენი რწმენა გამომდინარეობს საერთაშორისო მოვლენათა, აგრეთვე იმ ცვლილებათა ანალიზიდან, რომლებიც ჩვენს სამშობლოში მოხდა.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შეთანხმების დიდმნიშვნელოვანი საკითხი აღელვებს ყველა მოძმე პარტიას. ეს პრობლემა გვაღელვებს ჩვენც, ბერძნებს, ძნელ ბრძოლაში, რომელსაც ვეწვით იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოექცა ამერიკელი იმპერიალისტებისა და ნატოს დახმარებითა და უშუალო მხარდაჭერით, ჩვენ განსაკუთრებით ვგრძნობთ საერთაშორისო შეკავშირებისა და სოლიდაროობის საჭიროებას. ამიტომ ჩვენი პარტია მოდამ ხაზს უსვამდა და ახლაც მიაჩნია, რომ საერთაშორისო თათბირი უნდა მოვიწვიოთ რაც შეიძლება მალე, ჯერ კიდევ 1968 წელს.

ჩვენი აზრით, იმ დასკვნებმა და საერთო თვალსაზრისმა, რომლითაც ჩვენ მოვალთ ამ თათბირზე, თავისი გამოხატულება უნდა პოვონ პარტიების შეთანხმებულ დოკუმენტში. ჩვენი აზრით, თავისთავად იგულისხმება, რომ მოსკოვი შესაფერი ცენტრია თათბირის მოსაწყობად. საბერძნეთის კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს იხმარს, რათა შეასრულოს თათბირის მომზადების საპატიო ამოცანა.

ხულიო ლოპეზმა, გვატემალის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, თავის გამოსვლაში მხარი დაუჭირა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევას, რომელიც, თქვა მან, უნდა მოეწყოს მიმდინარე წლის დამლევს მოსკოვში, თუ მომძე საბჭოთა კავშირის პარტია იკისრებს ამ დავალებას. გვატემალის შრომის პარტიის აზრით, საერთაშორისო თათბირის დღის წესრიგში უნდა იდგეს მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები. ჩვენ ვემხრობით იმას, რომ თათბირზე მოვიწვიოთ უკლებლივ ყველა პარტია და რომ არ დავგმოთ და არ გავრიყოთ არც ერთი პარტია.

ამავე დროს გვატემალის დელეგაციამ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მოეწყოს მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების საერთაშორისო კონფერენცია; კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა ამ მხრივ.

მან განაცხადა, რომ კუბის რევოლუციის დაცვა ლათინური ამერიკის თითოეული რევოლუციონერის მოვალეობა და პასუხისმგებლობაა, და დაგმო კონტრრევოლუციური ტერორი, რომელსაც დანაშაულებრივი ფორმებით ახორციელებენ გვატემალაში იმპერიალიზმი და მენდეს მონტენეგროს მარიონეტული მთავრობა.

ზოლტან კოვაჩიმ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეებს განსახილველად წარუდგინა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებანი:

საკონსულტაციო შეხვედრამ უნდა მოუწოდოს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიას მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო თათბირსა და მის მომზადებაში. კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დღის წესრიგი უნდა იყოს შემდეგი: მთელი პროგრესული ძალების შეკავშირება იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საერთაშორისო თათბირი უნდა მოვიწვიოთ ჯერ კიდევ ამა წლის დამლევს მოსკოვში. ეს ყველაზე შესაფერი და სწორია ყველა თვალსაზრისით. თათბირისათვის მზადება უნდა წარმოებდეს უალრესად დემოკრატიულ საფუძველზე, ყველა მოძმე პარტიის თვალსაზრისთა გათვალისწინებით. საჭიროა უზრუნველვყოთ ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის მონაწილეობა თათბირში, შეკრებნათ მოსამზადებელი კომისია.

უილიამ კაუტნ�, კანადის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა განაცხადა: კანადის დელეგაციას სწორად მიაჩნია, რომ წელს მოსკოვში გაიმართოს საერთაშორისო თათბირი. ამ თათბირზე მოიწვიოს ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები.

ბანუელ ტერასასმა, მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, განაცხადა, რომ მისი პარტია მხარს უჭერს კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირის მოწვევასა და მოწყობას. იგი შეეხო იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და ახალი თათბირის მოწვევის მწვავე საჭიროებას.

ერთობლივი მოქმედების შედეგად, თქვა მან, საკონსულტაციო შეხვედრამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი და ეს ცხადყოფს, რომ იწყება მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ახალი ნაყოფიერი ეტაპი. ერთობის უძლეველ ძალაზე დაურდნობით მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა წარმართავს მუშათა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ახალი გამარჯვებებისაკენ. ამ შეხვედრით დაიწყება მთელი მსოფლიოს პროგრესული დემოკრატიული და რევოლუციური ძალების უდიდესი შეტევა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მექსიკის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ერთობის საარსებო მნიშვნელობას და იმ წვლილს, რომელსაც მომავალი თათბირი შეიტანს მექსიკისა და მთელი ლათინური ამერიკის ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მისი აზრით, კომუნისტური მოძრაობის მსოფლიო თათბირის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ერთობის განმტკიცება, აგრეთვე ბრძოლა ფართო ფრონტის შექმნისათვის, რომელშიც გაერთიანდებიან კომუნისტური, პროგრესისა და რევოლუციის მთელი ძალები. თათბირი უნდა მოიწყოს მიმდინარე წლის ბოლო თვეებში, მოსკოვში, ხოლო მისი მომზადება უნდა დაეკისროს ისეთ კომისიას, რომელშიც შეესვლენ როგორც შეხვედრის მონაწილე პარტიები, ისე თუ ამას მოისურვებენ, ის პარტიებიც, რომლებიც შეხვედრას არ ესწრებიან.

ფერნანდო ნადრამ, არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა იმით დაიწყო თავის სიტყვა, რომ ხაზგასმით აღნიშნა მნიშვნელობა ამ შეხვედრისა, რომელშიც მონაწილეობს 66 კომუნისტური და მუშათა პარტია. იგი შეეხო ამოცანებსა და წინადადებებს, რომლებიც შეხვედრის მონაწილეებმა უნდა განიხილონ. მან განაცხადა, რომ რაც შეიძლება მალე უნდა მოიწვიონ საერთაშორისო თათბირი და დაასაბუთა ეს წინადადება რამდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტით, თქვა რომ საჭიროა: უფრო ეფექტიანი ბრძოლა იმპერიალიზმის, განსაკუთრებით ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კომუნისტური და მუშათა პარტიების შეკავშირების განმტკიცება, დაუყოვნებლივ საჭიროა პრინციპული და პრაქტიკული პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, რომლებიც წამოჭრა თანამედროვე ვითარებამ.

არგენტინის დელეგაციის სახელით მან მსარი დაუჭირა იდეას, რომ თათბირი გაიმართოს მოსკოვში მიმდინარე წლის დამლევამდე და მოიწვიონ ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიები. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ მოვაწყოთ კომუნისტური პარტიების ერთიან მოქმედებას მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე, თქვა მან, და მხოლოდ ამის შემდეგ გავმართოთ ფართო ანტიიმპერიალისტური კონფერენცია. თათბირმა უნდა მოგვცეს თანამედროვე ვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი და მოამზადოს ისეთი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მიმართულებას.

მან ხაზგასმით აღნიშნა ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირი, როცა იბრძვიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პირველ რიგებში. დასასრულ იგი დაეთანხმა იმას, რომ შეიქმნას საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისია, რომელშიც შეესვლენ როგორც შეხვედრის მონაწილე პარტიები, ისე იმ პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც მოვვიანებით ჩაებმებიან ამ მუშაობაში.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ხუდანის, შვეიცარიისა და მარტინიკის მომძე პარტიათა წარმომადგენლებმა. მათი სიტყვების შინაარსი გამოქვეყნდება მორიგ კომუნიკეში.

ორშაბათს შეხვედრა განაგრძობს მუშაობას.

ბუდაპეშტი, 4 მარტი. (საკდესი). როგორც უნგრეთის დეპეშა საგენტო გვატყობინებს, ერთი დღის შესვენების შემდეგ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრამ მუშაობა განაგრძო.

გულითადი მადლობა

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველო გულწრფელ მადლობას უცხადებენ ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელებმაც მისალმებები და მილოცვები გამოგზავნეს ჩვენი შეიარაღებული ძალების 50 წლისთავთან დაკავშირებით, ამ მისალმებებსა და მილოცვებში გამოთქმულია ღრმა პატივისცემა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი, რომლებიც ფხიზლად დგანან სოციალისტური სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

საქართველოს სოფელი

საკლესიოს განცხადება

ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები ადგენენ გეგმებს თავიანთ სახელმწიფოთა ეგიდით შეიარაღებული სამხედრო ბლოკი სპარსეთის ყურის ზონაში იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა უახლოეს წლებში გაიყვანოს თავისი ჯარები ამ რაიონიდან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ი. როსტოუ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ი. ბლეკი, ინგლისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი რობერტსი ამას წინათ ეწვიენენ ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნების დედაქალაქებს, სადაც შეიცადნენ სხვადასხვა ვარიანტით ამ სახელმწიფოებისათვის თავს მოეხვიათ ეგრეთწოდებული „ერთობლივი თავდაცვის სისტემის“ შექმნის პროექტი. ი. როსტოუმ განაცხადა, რომ ასეთი ბლოკის ძირითადი ბირთვი შეიძლებოდა ყოფილიყო ირანი, თურქეთი, პაკისტანი, ერაყი, საუდის არაბეთი და კუვეიტი.

ვაშინგტონში აშკარად ლაპარაკობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ რაიონში უნდა ჰყავდეს „შეიარაღებული ძალები“. ბაჰრეინთან უკვე გაგზავნეს ამერიკის სამხედრო ხომალდები.

მთელი ამ ამბის ინიციატორები ჩემულობენ სპარსეთის ყურის ზონის ქვეყნების ინტერესთა „დაცველების“ როლს, მაგრამ ისინი ვერ დაფარავენ თავიანთ ნამდვილ ნეოკოლონიალისტურ მიზნებს. ეს მიზნები კი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ შეინარჩუნონ და გაანმტკიცონ კაპიტალისტურ ნავთობის მონოპოლიათა პოზიციები, რომლებიც სპარსეთის ყურის ზონის ბუნებრივი სიმდიდრის მოურიდებელი ძარცვის შედეგად მრავალი წლის მანძილზე მილიარდობით დოლარ მოგებას იღებენ.

როგორც მსოფლიოს სხვა რაიონებში, ისე აქაც იმპერიალისტთა პოლიტიკის მიზანია ხელი შეუშალოს სამართლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებითს განვითარებას, შეაფერხოს ახალო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განმტკიცების პროცესი. ამასთან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეები ახორციელებენ ვერაგულ ტაქტიკას „გათიშე და იბატონე“ და ცდილობენ უნდობლობა და შურლი ჩამოაგდონ ამ რაიონის ხალხებსა და ქვეყნებს შორის.

ბუნებრივია, რომ თვით ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში სულ უფრო კარგად ემჩვევა, თუ რამდენად საშიშია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეს გეგმები. არ შეიძლება, რომ „ერთობლივი თავდაცვისათვის“ მოწოდებამ არ წამოჭრას მათი კანონიერი შეკითხვა: რა საფუძველზე ჩემულობენ სპარსეთის ყურიდან მრავალ ათას კილომეტრზე მდებარე სახელმწიფოები ამ რაიონის სახელმწიფოთა და ხალხთა რაღაც „მეურვეებისა“ და მათი ინტერესების „გამომხატველთა“ როლს. სავეებით გასაგებია შეშფოთება, რომელსაც სპარსეთის ყურის ქვეყნები განიცდიან ნეოკოლონიზატორთა ცდების გამო მოწამლონ მათი ურთიერთობა, ზიანი მიაყენონ არაბულ სახელმწიფოთა ერთობას, ერთმანეთს წაკიდონ ირანი და არაბები და მათი ყურადღება ჩამოაშორონ თანამედროვეობის საარსებო პრობლემებს და განსაკუთრებით ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის ამოცანებს.

არის ცნობები, რომ ერაყმა, ირანმა, კუვეიტმა, პაკისტანმა, თურქეთმა უკვე უარყვეს წინადადება, „ერთობლივი ერთობლივი თავდაცვის სისტემის“ შექმნის შესახებ. ირანის პრემიერ-მინისტრმა ჰოვეიდამ, რომელმაც გაიღაშქრა სპარსეთის ყურეში უცხოელთის ჩარევის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნა: „ინგლისის გასვლას ერთ კარში არ უნდა მოჰყვეს, მაგალითად, ის, რომ მეორე კარში შემოვიდეს ამერიკა ან ინგლისი დაბრუნდეს რაიმე სხვა ფორმითო“.

საბჭოთა კავშირი, რომელიც თანმიმდევრულად ასორციელებს იმპერიალისტთა ხელყოფისაგან სუფერენული ქვეყნებისა და ხალხების ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკას და მშვენივრად ესმის, რომ ნეოკოლონიალიზმის ზემოხსენებული გეგმები მიმართულია აგრეთვე სსრ კავშირის სამხრეთ საზღვრების უშიშროების წინააღმდეგ, გადაჭრით ილაშქრებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული წრეების ახალი ცდების წინააღმდეგ ჩაერიონ სპარსეთის ყურის რაიონის ქვეყნების საქმეებში, თავს მოახვიონ მათ თავიანთი ნება. ამ ქვეყნების ხალხებს და მხოლოდ მათ აქვთ უფლება განსაზღვრონ თავიანთი ბედი. და რაც უფრო მალე მოიღება ბოლო კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს, ამ რაიონში, მით უფრო წარმატებით გადაიჭრება ამოცანა, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთი გახდეს მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის ზონა.

ტელეტაიპის ლენტიდან

● აშშ

„ნიუ-ჰერსი“ კურსს ვიეტნამისაკენ იღებს

ნიუ-იორკი. 4 მარტი. (საკდესი). ფილადელფიის ნავსადგურის გემსაშენში მთავრდება ამერიკის 45.000 ტონა წყალწყვის სახაზო გემის „ნიუ-ჯერსის“ რემონტი. აპრილის დამდეგს ხომალდი წავა საომარი მოქმედების რაიონში ვიეტნამის ნაპირებისაკენ.

„ნიუ-ჯერსი“ იქნება ამერიკის პირველი სახაზო გემი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საომარი მოქმედების რაიონში. წარსულში ეს სახაზო გემი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომის ბრძოლებში და კორეის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიაში.

● არგენტინა

დიქტატურის მსხვერპლი

ბუენოს-აირესი. 4 მარტი. (საკდესი). როგორც არგენტინის გაზეთი „პროპოსიტოსი“ იუწყება, პარაგვაის პოლიციამ ასუნსიონში დაპატიმრა ცნობილი პარაგვაელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე კარმენ სოლერი. საპატიმროს მძიმე პირობების გამო მას სერიოზული საფრთხე მოელის.

კარმენ სოლერი ცნობილია ლათინურ ამერიკაში თავისი გამოსვლებით პარაგვაის დიქტატორ სტრესნერის რეჟიმის წინააღმდეგ. 1966 წელს იგი უკვე იყო დაპატიმრებული პროტესტების გამო პარაგვაიში დემოკრატიულ უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ.

ბუენოს-აირესი, 4 მარტი. (საკდესი). არგენტინის პოლიციამ გუშინ დაპატიმრა 10 კაცი. ქალაქ ლა-პლატას მახლობლად დაბა ვილია ელისაში ისინი მეცადინეობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელ წრეში. პოლიციელებმა კონფისკაცია უყვეს კარლ მარქსის, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს. დაპატიმრებულთა შორის სამი ქალია.

● იტალია

ახალი მიწისქვეშა ბიძგი

რომი. 2 მარტს საღამოს აგრიჯენტოს პროვინციის დიდ ქალაქ შაკაში აღინიშნა ოთხ-ხუთბალიანი ბიძგი. მიწისძვრას არსებითი ნგრევა არ გამოუწვევია, მაგრამ მეტად შეაშინა ადგილობრივი მოსახლეობა. ხალხი სასწრაფოდ ტოვებდა სახლებს და ქალაქიდან ახლომდებარე მინდვრებში გარბოდა — ზოგი ავტომობილით და ველოსიპედით, ზოგი კი ფეხით.

გრძელდება იანვრის მიწისძვრით დანგრეული დასახლებული პუნქტების გაწმენდის სამუშაოები. ნანგრევებიდან ახალ-ახალი გვამები ამოაქვთ.

აფეთქება ტორინოში

რომი. 2 მარტს საღამოს ძლიერმა აფეთქებამ მოგლიჯა ამერიკის ტორინოს საკონსულოს კარი. უცნობი პირების მიერ საკონსულოს შენობასთან ჩადებულმა ასაფეთქებელმა ნივთიერებამ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

სამართლიანი პროტესტი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ბერლინი, 4 მარტი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის გადაწყვეტილება თავისი კომისიებისა და ფრაქციების სხდომები მოაწყოს დასავლეთ ბერლინში, აგრეთვე ბონის მთავრობის გადაწყვეტილება სხდომები მოაწყოს დასავლეთ ბერლინში, საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება და პოტსდამის შეთანხმების დარღვევაა.

როგორც ადნის საგანგებო გვატყობინებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო მტკიცე პროტესტს აცხადებს დასავლეთ ბერლინში გათვალისწინებული სხდომების წინააღმდეგ. ეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების ინტერესების შელახვაა და საფრთხეს უქმნის ევროპის უშიშროებას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ თავის საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას არ შეუძლია უყურადღებოდ დატოვოს ბონის მთავრობისა და მის დასავლეთბერლინელ ხელშემწყობთა პროვოკაციული მოქმედება.

მთელი პასუხისმგებლობა ამ აგრესიული აქტების ყველა შედეგისათვის ეკისრება მხოლოდ ამ პროვოკაციათა ორგანიზატორებს. „თუ ეს პროვოკაციები გაგრძელდა, — ხაზგასმულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდება განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი, რათა დაიცვას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების კანონიერი ინტერესები და აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულ მოქმედებას.

ქარ სურთ საქმესაცხური გუნდესვერში

ბონი, 2 მარტი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 23 ათასამდე ახალგაზრდა მოქალაქემ უარი განაცხადა იმსახურის ბუნდესვერში მისი შექმნის მომენტიდან. როგორც ბონში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაშია აღნიშნული, ამ ბოლო დროს მკვეთრად გაიზარდა იმათი რიცხვი, ვინც უარი თქვა ბუნდესვერში სამსახურზე. მარტო გასულ წელს მათმა რიცხვმა 5 ათასი შეადგინა. ისინი უარს ამბობენ იმსახურონ ბუნდესვერში „პოლიტიკური მოტივებით“.

როგორც ცნობილია, დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდებს შორის იზრდება უკმაყოფილება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მილიტარისტული პოლიტიკის გამო, ბუნდესვერში ყოფილი ჰიტლერელი ოფიცრების მოძალების გამო და პროტესტის ნიშნად უარს ამბობენ არმიაში სამსახურზე.

ამერიკელ ოლოფლიანი ბარბაროსობა

ვიეტნამში ომის ესკალაციის ამერიკელ იმპერიალისტთა პოლიტიკა, მათი ბარბაროსული მოქმედება ლაოსში და საერთოდ საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების კურსი პლანეტის ყველა კონტინენტზე სამართლიან აღშფოთებას იწვევს.



ამას მოწმობს თუნდაც ფრანგი კარიკატურისტის კამპის ნახატი ყოველკვირეულ „ფრანს ნუველში“. ამერიკის დროშას დღეს ეს საომარი „რეკვიზიტი“ უფრო დაამშვენებდა, — ამბობს მხატვარი თავისი ნახატით.

ამერიკელ აგრესორებს სამარცხვინო ბოძზე აკრავს მეორე სურათიც, რომელსაც „ლუმანიტე-დიმანში“ აქვეყნებს. ჯალათებს პატრიოტთა გვამები სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის დასაშინებლად გამოუფენიათ.

მაგრამ ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს ამით ვერ დააშინებენ. მის დასაცავად ხმას იმაღლებს მილიონობით ადამიანი პლანეტის ყველა კუთხეში. მესამე სურათზე აღბეჭდილი არიან იმ საპროტესტო მიტინგის მონაწილენი, რომელიც გაიმართა ტოკიოში ამერიკის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

საზარბაზნე ხორცის ახალი პარტია

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). როგორც ასოციეიტედ პრესის საგენტო გვატყობინებს, საიგონში მყოფმა ამერიკის სარდლობამ გამოაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამში ჩავიდა კიდევ 3.500 ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის ჯარების მთავარსარდალი გენერალი უესტმორლენდი მოითხოვს, რომ უფრო გაზარდონ ჯარების რიცხვი. იგი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ვიეტნამში გაგზავნონ კიდევ 50-100 ათასი ჯარისკაცი.

დევნიან ომის მოწინააღმდეგეებს

ვაშინგტონი. 4 მარტი. (საკდესი). 789 ამერიკელი ახალგაზრდა დაუპატიმრეს 1966 წლის 30 ივნისიდან 1967 წლის 30 ივნისამდე იმის გამო, რომ უარი თქვეს მესახურათ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში. ეს ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ცნობაში.

სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ შარშან წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილა იმ ახალგაზრდების სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევები, რომლებიც უარს ამბობენ იმსახურონ ჯარში მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

გულითადი... უთანხმოება

საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკების სავალალო შედეგი

ამ ცოტა ხნის წინათ პარიზს ეწვია კანცლერი კიზინგერი თავისი „ამალით“, რომელიც თხუთმეტი მინისტრისა და სტატს-მდივნისაგან შედგებოდა. ეს ვიზიტი იყო ერთ-ერთი ღონისძიება საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის 1963 წლის ხელშეკრულებისა, რომელიც ითვალისწინებს ამ ორი სახელმწიფოს მეთაურთა პერიოდულად ერთმანეთთან ჩასვლას პოლიტიკური კონსულტაციის მიზნით. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კიზინგერმა „წყალივით“ იცის ფრანგული ენა და უბრძოლოდ გასცა პასუხი ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებზე.

კიზინგერი საქმიანობს...

ნახ. გაზეთ „ნო

მეორმოცე

წელს 50 სპეციალობის ათას ხუთასზე მეტმა ახალგაზრდა ინჟინერმა მიიღო დიპლომი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შესახებ. რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდა მანქანათმშენებლები, ჰიდროტექნიკოსები, არქიტექტორები, მშენებლები, ქიმიკოსები, მეტალურგები, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტებიდან სამშობლოს გზებზე გაემგზავრებიან საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებში.

3 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორმოცე გამოშვებასთან.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამ უმაღლესი სასწავლებლის პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. დემეტრაძემ.

კურსდამთავრებულებს გზა დაულოცა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ბეჭაჩიძემ.

შემდეგ პროფესორმა ი. ბუაჩიძემ წაიკითხა 52 კურსდამთავრებულის გვარები, რომლებმაც წარჩინების დიპლომები მიიღეს. ზედიზედ ილებენ წარჩინების დიპლომებს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი ა. დადუნაშვილი, რ. ღაღანიძე, ა. ლაზარაშვილი, ზ. ციხლაძე, ვ. მაღრაძე, ახალგაზრდა ქიმიკოსები და კვების ტექნოლოგიის დარგის სპეციალისტები ნ. ბუნიავა, ლ. დოლიძე, მ. ტატენაშვილი, ნ. ბოხბაძე, ვ. ბარბაქაძე, მშენებლები მ. ლორთქიფანიძე, ა. მოწონაღლიძე, მ. ბრეგლიფგელი და სხვები.

ახალგაზრდა სპეციალისტებს გულთბილად მიესალმნენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ნ. ჭარხალაშვილი, აგტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი მ. ბირბოზანი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძოლე საამქროს უფროსი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ძამაშვილი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნ. ბინბაძე, მუშუები მრეწველების ფაკულტეტის კურსდამთავრებული დ. მარგველაშვილი.

კურსდამთავრებულებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ბ. ძოწენიძემ. (საქდესი).

ასე იზრდება გინათმეცნიერება

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში ფართოდ გაჩაღდა კოოპერაციული ბინათმშენებლობა. შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა 7.700 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, წელს კი მშრომელები 9.000-მდე კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ. № 22 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ლენინის პროსპექტზე აშენებს რვასართულიან სახლს. № 19 კოოპერატივი ასეთსავე შენობას აგებს ავტოქარხნის ეზოში.

საქართველოს სსრ აკადემიკოსი ა. ჩიქობავა

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე ერთხმად გადაწყვიტა საზოგადოების საპატიო წევრად აერჩია საქართველოს სსრ აკადემიკოსი პრნოლდ სტეფანეს-ძე ჩიქობავა. ამ გადაწყვეტილებით, აღნიშნულია დღეს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, საზოგადოება „აღიარებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრის ა. ს. ჩიქობავას დიდ დამსახურებას კავკასიის ხალხთა ენების შესწავლის დარგში და მეცნიერის იმ დიდ ღვაწლს, რომელიც დასდო ძართული ენის რვატომიანი აკადემიური ლექსიკონის გამოცემას როგორც მთავარმა რედაქტორმა.

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების ეს გადაწყვეტილება, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, „გამოხატავს მის მეგობრულ გრძნობებს პროფესორ ჩიქობავასადმი, რომელსაც წელს 70 წელი უსრულდება, და მისი კოლეგებისადმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წელს აღნიშნავს თავის 50 წლის იუბილეს“.

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოება 1842 წელს დაარსდა. იგი აერთიანებს დიდი ბრიტანეთის ლინგვისტებსა და ფილოლოგებს. თავისი ხასიათით საზოგადოება საერთაშორისოა და მეცნიერია.

ფლის ყოველ დროს, ყოველგვარ ამინდში შეხვდებით ასეთ სურათს ბათუმის ნავსადგურში — მოთმინებით აღსავსე მეთევზეებს — მოზრდილებსა და ბავშვებს, განსაკუთრებით ეტანება თევზი ახალს საზღვაო ვაგზლის სიახლოვეს, სადაც სამგზავრო გემები დგებიან ხოლმე.

ფოტო ვ. მითაიშვილისა.

ახალი „მფრინავი თეფშების“ შესახებ

უკანასკნელ ოც წელიწადში იმ ლიტერატურის ტირაჟმა, რომელიც „გამოუცნობელ მფრინავ ობიექტებს“ მიეძღვნა, ერთ-ერთი პირველი ადგილი დიაკავა მსოფლიოში. ეს პრობლემა აინტერესებთ მრავალრიცხოვან ასოციაციებსა და კლუბებს. ზოგიერთი მათგანი აერთიანებს იმათ, ვისაც „თვითონ უფრენია“ თეფშებით; მეორეში შედიან ისინი, ვისაც მხოლოდ დაუნახავს ეს თეფშები; მესამეში — ისინი, ვისაც არც უფრენია და არც დაუნახავს, მაგრამ მტკიცედ სჯერა მათი არსებობა.

კლუბების წევრები ინტენსიურად მუშაობენ, იწვევენ საერთაშორისო ყრილობებსა და სიმპოზიუმებს, კოლოკვიუმებსა და სემინარებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური, მთავრობის მიერ სუბსიდირებული ორგანიზაციებიც კი არსებობენ, რომლებიც ამ მფრინავი საგნებით არიან დინტერესებული: ატმოსფერული მოვლენების შემსწავლელი ნაციონალური საკვლევი კომიტეტი, ატმოსფეროს შემსწავლელი საკვლევი ორგანიზაცია (აპრო) და სხვები. თეფშების გამოჩენის ყველა შემთხვევა რეგისტრირებულია ეცნობოს ფორტ ლიზე, ნიუ-ჯერსის შტატში.

მონაგონია ეს, თუ რეალობა? ოფიციალურ ანუ ოფიციალურ თვითმხილველთა მრავალი ჩვენება, გადაეცემა ეთერით, რომ „აქ რაღაც არის“. მაგრამ [illegible] ამ ოფიციალურ ადამიანებიდანაც შეეხებოთ. მაშ ასე, როგორც „თეფშებიან“ [illegible] მომხმარენი ამბობენ ხოლმე, დასკვნები თქვენ თვითონ გააკეთეთ, ჩვენ კი მოგვყავს:

„მხოლოდ ფაქტები“

მფრინავი თეფშების „ნათლიად“ ამერიკელი მფრინავი კენეტ არნოლდი. სწორედ მან შეამჩნია 1947 წელს ცხრა ბრწყინავი დისკო, რომლებიც მწკრივად მიფრინავდნენ საათში სამი ათასამდე კილომეტრის სიჩქარით.

თეფშებთან მეორე შეხვედრა ტრაგიკული იყო. 1948 წლის იანვარში უზარმაზარი მფრინავი თეფში გამოჩნდა ნოკსის ამერიკული საავიაციო ბაზის თავზე. მის დეგნაში დაიღუპა სამხედრო-საჰაერო ძალთა კაპიტანი თომას მენტელი. შკასასწენელი ცნობა მისგან მოვიდა ცხრა ათასი მეტრი სიმაღლიდან: „ვხედავ საგანს, მივდივარ დასაწლეგებაზე“.

ამ ამბავმა ფართო რეზონანსი მიიღო. ბევრმა ამაში სხვა პლანეტების უცნობ წარმოგზავნილთა მრისხანე გაფრთხილება დაინახა — თავი დაგვანებეთო. კაპიტნის საიდუმლოებით მოცულ სიკვდილზე ძალზე ხშირად ლაპარაკობენ, რაც ჩვენთვის უცნობი მრისხანე ძალების არსებობის უდავო დადასტურებას ემსახურება.

მაგრამ აშშ-ის ხელისუფალთა მიერ საგულდაგულოდ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებიც არანაკლებ ფართოდ იქნა გახმაურებული. იდუმალი „თეფში“ აღმოჩნდა... მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ „ოპერაცია სკაიხოკის“ საიდუმლო პროექტის მიხედვით შლასტიკისაგან დამზადებული თხელკედლებიანი საჰაერო ბუშტი.

ასეთ ბუშტებს ასვლა შეეძლოთ 30 ათას მეტრ სიმაღლემდე. თომას მენტელს კი დევნის აზარტში დავიწყდა, რომ მის თვითმფრინავზე არ იყო ჟანგბადის ხელსაწყო. მსოფლიოს ყველა ინსტრუქცია კრძალავს ასეთ შემთხვევაში 6 ათას მეტრზე ზევით ასვლას. მენტელმა არად ჩაუდო ეს გაფრთხილება, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა...

ცნობილია აგრეთვე მონაყოლი ამბები სხვა პლანეტებიდან მოფრენილი ხომალდების პილოტებთან შეხვედრებისა და მათთან ხელშართული შეტაკებების შესახებაც კი. მათ ესროდნენ კიდეც, მაგრამ — ამაოდ.

ერთმა თეფშმა ხე გადაჭრა ამაზონკის ნაპირებზე და გაქრა მდინარის მდგრიე ტალღებში. მისი პილოტი შეუძლებელი აღმოჩნდა. მეორე მიწაზე მიფარფატებდა დაჭრილი ფრინველივით, და კინალამ ავარია განიცადა თვითმფრინველთა თვალწინ. მაგრამ შემდეგ მან ლითონის რამდენიმე ნაღეფი „ვალმოანთხია“, გასწორდა და იქვე ავრინდა. პოლიციაში მიტანილი ლითონი... ჩვეულებრივი კალა აღმოჩნდა.

...ეკიპაჟის მიერ მიტოვებული ვერცხლისებრი დისკო იპოვნეს ნორვეგიის სანადოთა ქვეანაბრის ღრმა ფენებში შპიტბერგენზე. იგი დაღარული იყო მაკრომეტეორთა დარტყმებისაგან და აშკარად ეტყობოდა ხანგრძლივი კოსმოსური მოგზაურობის კვალი. დისკო ანალიზისათვის გაგზავნეს ჰენტაგონში, სადაც... უკვალოდ გაქრა.

სხვამ არავინ, თუ არა თეფშმა გამოიყვანა მწყობრიდან 1965 წელს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რითაც ექვსი საათით წყდებოდა დატოვა ამერიკის რამდენიმე დიდი ქალაქი. ამბობენ, რომ თუ ყურადღებით დავაკვირდებით „ლიფში“ გამოქვეყნებულ ფერად ფოტოსურათს „ნიუ-იორკი წყდებოდა“, მარჯვენა კუთხეში შეიძლება დავინახოთ მუქი წერტილი. სწორედ ეს არის უცნობი კოსმოსური ხომალდი.

მაგრამ მსგავს ამბებს შორის ნამდვილად გასაოცარ შედეგებს წარმოადგენს 1967 წლის დამლეგს დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შტერნში“ გამოქვეყნებული „ინტერვიუ ვენერიდან“ მოსულ ადამიანთან“. ეს მატერიალიზებული ლუჯოვალება „სუპერმენი“, ნიცშეანური „ქერა ალეჯის“ თავისებური ვარიანტი, თურმე პენტაგონის საიდუმლო სამსახურშია. სიმაღლით იგი 190 სანტიმეტრია, თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად (დიახ, დიახ, სწორედ ინგლისურად) და თავისუფლად სუნთქავს ჩვენს ატმოსფერომი ყოველგვარი ხელსაწყოების დაუხმარებლად. მის უბრალო ფიბრის ჩეზოდანში ინახება არაჩვეულებრივი მოვერცხლისფრო კოსტიუმი, აბრეშუმის ქსოვილივით მოქნილი და იმდენად მტკიცე, რომ მასზე ალმასის ბურღიც კი იმსხვრევა.

ასეთი კოსტიუმით, ამბობს „ვენერიელი“ თავისუფლად დაცურავენობდი ყველაზე ცხელი პლანეტების ზედაპირზე და უმძლავრეს გრავიტაციულ ველებსაც კი არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი...

იქნებ, კმარა „ფაქტების“ ჩამოთვლა?

როგორ შევისწავლოთ ისინი?

ამ კითხვის დასმა უფრო ადვილია, ვიდრე მასზე პასუხის გაცემა. მფრინავი თეფშები ღვთისშობელს

რეალობა, თუ მონაგონი?!

ჰგვანან: გამოეცხადებიან მხოლოდ ღამა, ვისაც იგი სწამს. და არასგზით არა ხურთ დაენახოონ საჰაერო სათვალთვალო პუნქტებს, მეტეოროლოგებსა და სეისმიურ ასტრონომებს, ე. ი. სწორედ იმათ, ვისგანაც მოსალოდნელია ყველაზე უფრო ზუსტი ინფორმაცია, მფრინავი საგნის კეთილსინდისიერი აღწერა.

ფენომენის გამოჩენის ექსპერიმენტის განუმეორებლობა, შემთხვევითობა ყოველთვის, ან ძალზე აძნელებს, ან და საეჭვებით გამორიცხავს კვლევის შესაძლებლობას.

მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი სტერეოსკოპიული ფოტოსურათი, რომელზეც ერთდროულად ორი წერტილიდან მორნდეს ყარი მფრინავი საგნის მკაფიო კონტურები. ყველა მსგავსი სურათი გადაღებულია ერთობიექტივიანი კამერებით და ყოველთვის ტოვებს ნიადაგს ეჭვისათვის.

სურათების ერთი სერია გასაოცრად მოგვაგონებს ჰაერში ასროლილ ჭიანს ქუდს, რომელსაც შავი ბრეშუნის ბაფთა აქვთ შემოსმული. სხვები, უდავოდ, ფრი ერთად შეერთებული დიპპოზიტივის კანტრატებს წარმოადგენენ, როგორც არის, მაგალითად, ეპიზაკი და თეთრ ქაღალდზე დახატული უცნობი კონსტრუქციის ხომალდი. თანამედროვე ფოტოგრაფიული ტექნიკა შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ ისეთი სურათები, რომლებშიც ვერც ერთი ექსპერტი ვერ გამოიცნობს სიყალბეს. ყველა მათგანი ნამდვილია. მაგრამ მათზე გამოსახული არიან არა კოსმოსიდან მოსული, არამედ ჩვეულებრივი, მიწიერი საგნები, გადადებული, მოულოდნელ რაკურსებში — ქვაბები, ტაშტები, პოლაროიდის სათამაშოები.

მაგრამ არსებობენ თუ არა ფოტოსურათები, რომლებიც არავითარ ეჭვს არ იწვევენ? დიახ, არსებობენ. მაგრამ მათზე ყოველთვის გამოსახული წაშლილოგრაფიული „ინტერვიუ ვენერიდან“ ან ოვალური ფორმის მრეწყინავი საგნები. ასეთი სურათების ყველაზე შესაძლო ახსნაა მხოლოდ ერთი — ეს არის სფეროსადაც თავისუფლად გადადიან ადგილიდან ადგილზე მაღალტემპერატურიანი პლაზმის შენადედები.

მეორე წუნის ავტორია ფრენკ ედვარდსი. წიგნს ეწოდება „მფრინავი თეფშები სერიოზული საქმეა“. ეს არის გამოთქმული აზრების, შეხედულების კრებული, მნახველების ჩვენებათა ჩანაწერი, რაც დაჯეუფებულია რამდენიმე ნაწილად. მართალია, ედვარდსი ხშირად ასე ახასიათებს თავის წყაროებს: „მოწმეა პირადენება, რომელმაც მთხოვა არ დამესახელებინა მისი ვინაობა, მაგრამ სრული ნდობის ღირსია“; ან „ამ მოწმის კეთილსინდისიერება დადასტურებულია მისი მრავალი თანამოქალაქის მიერ, მაგრამ ზოგიერთი მიზეზის გამო მის გვარს ჯერჯერობით ვერ გამოვაქვეყნებ“. ამაზე უფრო დამაჯერებელი რაღა იქნება!

ვისთვის არ არის ეს სიცრუე

უპირველეს ყოვლისა მეცნიერებას მიტმასნილი საქმესნებისათვის იყენებენ რა აუდიტორიის ინტერესს ყოველგვარი აუხსნელისადმი არაჩვეულებრივისადმი, მრავალრიცხოვანი ლექტორები დასავლეთში ჰყვებიან ამბებს, იწვევენ ასეთ სალამოებზე „თავის თვალით მნახველებს“, ახდენენ ფოტოსურათებისა და დიაპოზიტივების დემონსტრირებას, ასეთი ლექტორების მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგ ჩვეულებრივი თაღლითები აღმოჩნდებიან ხოლმე. თუმცა არიან ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად სჯერთ, რასაც ჰყვებიან. ისინი ცდილობენ საზოგადოებრიობის ყურადღება მიაქციონ ფენომენებს, მაგრამ. სამწუხაროდ, მათ უფრო მეტი ვნება მოაქვთ, ვიდრე სარგებლობა. ყველაფერი ეს არა მარტო აეროპორტის არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის, არამედ „ლექტორებსაც“ ხელს უწყობს იმაში, რომ კარგი კაპიტალი ჩაიჯიბონ.

ამ კოპორტაში ყველაზე აშკარა

არსებობს მეორე ციკლიც. თუმცა იგი დროით როდი განისაზღვრება. თეფშებმა აავსეს დედამიწის ატმოსფერო 1951 წელს, იმ თვეებში, როცა ამერიკის ჯარები დაუნდობელ გამანადგურებელ ომს აწარმოებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

თეფშების შემდეგი მოზღვავება მიეკუთვნება 1955-56 წლებს, როცა სამხრეთ ვიეტნამში 35 ამერიკელი მრჩეველი სწრაფად შეიცვალა თანამედროვე იარაღით აღჭურვილმა ხუთასიათასიანმა არმიამ, იმ განზრახვით, რომ ორ კვირაში გაუნადგურებინა ეროვნული განთავისუფლების ფრონტი, როცა ომის ოფიციალურად გამოუცხადებლად და თავისი ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევით შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბრძანება გასცა დაეწყოთ ჩრდილოეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა.

ერთი სიტყვით, როცა ეცემა ტირაჟი, როცა მკითხველს მოსწყინდება ეკონომიკა და პოლიტიკა, როცა საჭიროა მისი ყურადღება ჩამოაშორონ „უადგილო“ შეკითხვებს, დასავლეთის საქმოსნებს დასახმარებლად გამოჩნდება ხოლმე სამი უტყუარი „მარადმწვანე“ სენსაცია: მფრინავი თეფშები, ზღვის გველი (ხანდახან მას ცვლის შოტლანდიის ტბა ლოხ ნესის ურჩხული) და თოვლის კაცი...

მართლაცდა, განა უფრო საინტერესო არ არის იკითხო მასალები ვენერიდან მოფრენილ იდუმალ ხომალდებზე, ვიდრე იფქრო ხვალინდელ დღეზე, ხელფასის გაყინვაზე, ფასების ზრდასა და უმუშევრობაზე. იმპერიალისტური ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწენი ასეთ „ინფორმაციას“ საფუძვლად იყენებენ. მათთვის მფრინავი თეფშები სიცრუე კი არა, მასების დეზინფორმაციის საკმაოდ კარგად შენიღბული საშუალებაა.

ეს არის და ეს.

ვ. ლიუსტიბერგი,
ახალი ამბების საგენტოს სამეცნიერო კომენტატორი.

„ფიატი“ სოხუმში

სოხუმი. (საკ. კორ.). მოსკოვიდან აფხაზეთში ჩამოვიდა „ფიატი-124“ მოდელის მსუბუქი ავტომანქანა, რომლის სერიულ გამოშვებასაც ახლო მომავალში დაიწყებენ ქ. ტოლიატში.

გადარბენის მონაწილემ, ტექნოლოგმა ვალენტინ კარპოვმა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— მოსკოვის საავტომობილო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა მანქანის საბურავების გამოსაცდელად აფხაზეთის მთა-გორიანი გზების უბნები ბიჭვინთა-გაგრა, გაგრა-„კრასნაია პოლიანა“ და გაგრა-სოხუმი აირჩიეს.

ჩვენი გამომცდელი მძღოლები ნ. ულიანოვი და ნ. სამოდურეოვი ბევრს მუშაობენ აფხაზეთის გზებზე. ისინი ყოველდღიურად დიდ სისწრაფეებზე ცდიან ახალ ავტომანქანებს.

აფხაზეთში ჩვენ გუდთბილად შეგვგებდნენ. ზოგიერთმა ძველმა მძღოლმა მრავალი ფრიად სასარგებლო და საინტერესო რჩევა-დარიგება მოგვცა, რაც მუშაობაში გამოგვადგა.

* * *

სურათზე: „ფიატი-124“ სოხუმში.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

ჟენევის აკორდი

ჟენევა ეთბოვება სტუმრებს. აქ ამოიწურა მსოფლიო პირველობის გათამაშება ფიგურულ ცეკვარაობაში. შაბათს გვიან ღამით გამოვლინდა მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის. ცნობილი ამერიკელი მოცეკვარავე პ. ფლემინგი სავალდებულო პროგრამის შემდეგ უახლოეს მეტოქეებს 50-ზე მეტი ქულით უსწრებდა და ფაქტიურად გარანტირებული ჰქონდა პირველი ადგილი. ნებისმიერი პროგრამით გამოსვლისას პ. ფლემინგმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მას მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. აღსანიშნავია, რომ მან 5,9 ქულასთან ერთად მიიღო უმაღლესი შეფასებაც — 6 ქულა. პ. ფლემინგმა შეაგროვა 2269,7 ქულა. მის უახლოეს მეტოქეს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ბ. ზაიფერტს აღმოაჩნდა 2179,8 ქულა და ვერცხლის პრიზორი გახდა. ევროპის ჩემპიონმა — ჩეხოსლოვაკიელმა ჰ. მაუკოვამ მესამე ადგილი დაიკავა — 2121,5 ქულა.

კვირას ჟენევაში მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები და ჩემპიონატის დახურვა. ყინულის მოედანზე მაყურებლებმა კვლავ იხილეს ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, პ. ფლემინგი. ე. დანცერი და სხვა პრიზორები.

ევროპის ჩემპიონატის სტადიონზე

ბელგიკა, 4 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებთან — ბელგიკის ფეხბურთელთა ნაკრებთან. მატჩი, რომელსაც 85 ათასი მაყურებელი დაესწრო, გაიმართა „ატომიუმის“ სტადიონზე.

ჩვენი გუნდი გამოვიდა ასეთი შემადგენლობით: აბენინჩიკოვი, ანფინინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ისტომინი, საბო, ანიჩკინი, ჩისლენკო, მალოფეევი, ასათიანი და ესკოვი.

მეორე მატჩს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გამართავს 7 მარტს ქალაქ ლეონში მექსიკის ხალისკოს შტატის ფეხბურთელთა ნაკრებთან.

„ენძელასათვის“

შაბათს, კვირასა და ორშაბათს შედგა მესამე ტური შეხვედრები ფეხბურთში.

გასული წლის ვერცხლის პრიზორს — მოსკოვის „დინამოს“ პაექრობა ჰქონდა ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელთან“. წარმატება დინამოელებს ხვდათ ანგარიშით 2:0. თბილისის „ლოკომოტივისა“ და ტყიბულის „მეშახტის“ მატჩში გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა 1:0. „ლოკომოტივი“ 5 ქულით ლიდერია მეოთხე ჯგუფში.

დონეცკის „შახტიორისა“ და კუიბიშევის „ჯრილია სოვეტოვის“ შეხვედრის შედეგია 1:0 „შახტიორის“ სასარგებლოდ. ქუთაისის ტორპედოელებმა დაამარცხეს მოსკოველი თანაკლასელები (დუბლიორები) 2:0. ამ დამარცხების მიუხედავად, მოსკოვის „ტორპედო“ მესამე ჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს. ამავე ჯგუფში სსრ კავშირის ჩემპიონის კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“

უმაღლეს წარუმატებლობა

კალათბურთელ ქალთა კოლექტივებმა დაამთავრეს ჩემპიონატის მესამე ეტაპის მატჩები. კვლავ დაუმარცხებლად იბრძვის რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდი, რომელსაც 14 შესაძლებლიდან 14 ქულა აქვს.

გაკვირვებას იწვევს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ესოდენ უჩვეულო წარუმატებლობა. მათ მეორე წრის პირველ ეტაპზე ზედიზედ წააგეს მატჩები და ამჟამად შეიძლება ადგილზე იმყოფებიან. კვირას ჩვენმა კალათბურთელებმა მორიგი დამარცხება განიცადეს, ამჯერად ნოვოსიბირსკის „დინამოსთან“ 64:65.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. თამაშობდნენ თბილისის „დინამო“ და ტარტუს „კალევი“. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 67:60 (28:31).

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0. ბაკოს „ნეფტიანიკმა“ მოუგო ლუგანსკის „ზარიას“ 2:0. ასეთივე ანგარიშით კიროვაბადის დინამოელებმა დაამარცხეს ბათუმელი თანაკლასელები.

გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მინსკის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 2:0 მინსკელთა სასარგებლოდ.

სპორტული ქრონიკა

◆ სვერდლოვსკში დამთავრდა ტრადიციული მატჩი ჩქაროსნულ ცეკვარაობაში ნორვეგიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის. წარმატება სტუმრებს ხვდათ 17 ქულის სხვაობით. 10.000 მეტრზე რბენაში ს. სელიანინმა სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 15 წუთი და 35,6 წამი.

◆ სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ინგლისის ღია ჩემპიონატში ხუთიდან სამი პირველი ადგილი მოიპოვეს. ვაჟთა ერთეულებში უძლიერესი იყო ს. გომოზკოვი. მანვე ზ. რუდნოვასთან ერთად გაიმარჯვა შერეულ წყვილებში. წარმატება ხვდათ ავრეთვე ზ. რუდნოვასა და ს. ბრინდერს.

◆ ინდოეთის მაღალი მთის საციგურაოზე მსოფლიოს ჩემპიონმა ჩქარსასრულ ციგურაობაში ჰოლანდიელმა სტინ კაიზერმა 1.000 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1 წუთი და 31 წამი.

რეშევსკი — პრეტენდენტი

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მეოთხე მონაწილე გახდა ს. რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები). მან გაიმარჯვა ლოს-ანჯელოსში გამართულ სამი გროსმაისტერის მატჩ-ტურნირში. ს. რეშევსკიმ ისევე, როგორც მისმა მეტოქეებმა ვ. გორტმა (ჩეხოსლოვაკია) და ლ. შტეინმა (სსრ კავშირი), 4 ქულა შეაგროვა 8-დან, მაგრამ უპირატესობა ჰქონდა ტურნირის საზონათაშორისო ტურნირის კოეფიციენტთა ცხრილით.

ჩემპიონატის სტარტი

გუშინ თბილისის ზამთრის საცურავ აუზში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება წყალბურთში. მონაწილეობს ათი გუნდი.

პირველი მატჩი თბილისის დინამოელებს ჰქონდათ „ბალტიკასთან“ და დამარცხდნენ 2:3. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოუგო ვოლგოგრადის „სპარტაკს“ 5:2, ხოლო მოსკოვის „დინამოსა“ და კასპის წიალდროშოვანი ფლოტელის (ბაკო) გუნდების შეხვედრის შედეგია ფრე — 4:4.

ჯ. კობახიძე.

საიუბილეოდ!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომისია

მიმართავს ყველა კურსდამთავრებულს (უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე) მოგვაწოდონ შემდეგი ცნობები:

გვარი, სახელი, მამის სახელი;

უნივერსიტეტის დამთავრების წელი, ფაკულტეტი, სპეციალობა, კვალიფიკაცია (აღნიშნული ცნობები უჩვენეთ დიპლომის მიხედვით);

ამჟამად სად მუშაობს და რა თანამდებობაზე (ზუსტად უჩვენეთ უწყების სახელწოდება და თანამდებობა);

მოკლე ცნობები საქმიანობის შესახებ

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ;

ბინისა და სამსახურის მისამართი.

გარდაცვლილებულთა შესახებ ასეთივე ცნობების გამოგზავნა შეუძლიათ მშობლებს, მეუღლეს ან მათს ახლო ნათესავებს.

ცნობები გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი 9, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კომისია (ტელეფონი 22-94-58 ან 22-10-26).

საიუბილეო კომისია.

ფრე „აცტეკის“ სტადიონზე

მექიკო, 4 მარტი. (საკდესის კორ. ე. სარატოვი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებთან — მექიკის ფეხბურთელთა ნაკრებთან. მატჩი, რომელსაც 85 ათასი მაყურებელი დაესწრო, გაიმართა „აცტეკის“ სტადიონზე.

ჩვენი გუნდი გამოვიდა ასეთი შემადგენლობით: **აბენინჩიკოვი, ანფინინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ისტომინი, საბო, ანიჩკინი, ჩისლენკო, მალოფეევი, ასათიანი** და **ესკოვი.**

მეორე მატჩს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გამართავს 7 მარტს ქალაქ ლეონში მექსიკის ხალისკოს შტატის ფეხბურთელთა ნაკრებთან.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ტელევიზია

5 მარტი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კონნარკევი, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდენას ეკრანი“, 2. ცისკარი, 19.00 — შენ, ახალგაზრდობავ! — სიტურბრიზი ქალიშვილებს — მუსიკალური მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — მუსიკალური გადაცემა „ფატმა მუტტარიკა“, 20.30 — ბულგარული კინოკომედია „საყვარელი № 13“, 21.55 — ახალი ამბები, 22.15 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.20 — „ლიტერატურა და ხელოვნება“ — სატელეეიზიო ჟურნალი.

6 მარტი

12.00 — პოლონური მხატვრული ფილმი „დუელი, რომელიც არ შედგა“, 17.25 — გადაცემათა პროგრამა, 17.30 — ლექცია პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთათვის, 18.00 — ახალი ამბები, 18.10 — კონნარკევი, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. გაბედული ფოტომონადირე, 2. შორეული კუნძულის საიდუმლოება, 19.20 — გადაცემა — გეგმიანი მშენებლობისათვის სოფლად, 19.35 — კონნარკევი, 19.45 — „ახალი ტექნიკა სოფელს“, 20.00 — კონცერტი, 20.20 — მხატვრული ფილმი „ოცი წლისა ვარ“ (I ნაწილი), 21.55 — ახალი ამბები, 22.15 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.20 — „მხიარული ეკრანი“, 22.30 — ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე — კარდიფ სიტი (ინგ